K 199 590
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები

(მასალები XIII—XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის)

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო
დარეჯან კლდიაშვილმა

თბილისი
„მეცნიერება"
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 2Гр
თ 642

ნაშრომში შესწავლილია და გამოსაცემად მომზადებული თისლისა (Par. géor. 4) და ხახულის (Q 1487) ხელნაწერების მინაწერები (მოსახსენებლები, ალაპები და მასთან დაკავშირებული შეწირულებები, კერძო ხასიათის მინაწერები). წარმოდგენილი მასალა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XIII—XVI სს-ის სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ონომასტიკისა და ფეოდალურ საგვარეულოთა გენეალოგიების შესასწავლად.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიის და წყაროთმცოდნეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. სილოგავა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი რ. კიკნაძე
ისტორიის მეცნ. კანდიდატი დ. მეგრელაძე
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ც. აბულაძე

თ $\frac{4603010201}{M\ 607\ (06)-86}$ 122—86

© გამომცემლობა მეცნიერება, 1986.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თისლის ხელნაწერის მინაწერი საბუთები და ალაპები

სამხრეთ საქართველოდან მოსახსენებლებისა და ალაპების შემცველმა რამდენიმე სვინაქსარმა მოაღწია. წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ერთ-ერთი მათგანი — პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული თისლის სვინაქსარის (Par. géor. 4) მინაწერი ალაპები და მოსახსენებლები.

თისლის სვინაქსარისა და მისი მინაწერებისათვის ყურადღება პირველად მარი ბროსეს მიუქცევია. 1831 წელს გამოცემულ „Chronique Géorgienne"-ს მან დაურთო ამ სვინაქსარის მინაწერი ალაპებისა და მოსახსენებლების ფრანგული თარგმანი და მასში მოხსენიებულ პირთა საძიებელი[1]. მინაწერებიდან ირკვეოდა, რომ სვინაქსარი თისლის მონასტერს ეკუთვნოდა, რომელიც, მარი ბროსეს ვარაუდით, ოსეთში იყო საძიებელი[2]. მინაწერებზე ჩატარებული მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ მინაწერების მარი ბროსესეული თარგმანი ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტი არ არის და ადგილი აქვს საკუთარი სახელებისა და ტოპონიმების აღრევას. მიუხედავად ამ ნაკლისა, პარიზში დაცული თისლის სვინაქსარის მინაწერი ალაპებისა და მოსახსენებლების ფრანგული თარგმანის გამოცემით მარი ბროსემ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა და იგი ხელმისაწვდომი გახადა მკითხველისათვის.

XIX საუკუნის დამლევს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები აღწერა ალ. ხახანაშვილმა. ალ. ხახანაშვილის გადმოცემით, სვინაქსარი (№ 3) ძველ სომხურ ხელნაწერებს შორის ყოფილა მოქცეული. მან ხელნაწერი ხელის მიხედვით XVI—XVII საუკუნეებით დაათარიღა და ნიმუშად წარმოადგინა ოთხი მინაწერი ამ სვინაქსარიდან[3].

XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლების აღწერასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილმა მ. ბრო-

[1] M. Brosset, Chronique Céorgienne, Paris, 1831, გვ. 107—129 (ამავე სვინაქსარიდან მარი ბროსემ გამოსცა დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრება—იხ. M. Brosset, Elements de la langue géorgienne, Paris, 1837, გვ. 268—283).

[2] იქვე, გვ. 125.

[3] ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, მოამბე, № 1, თბ., 1898, გვ. 2, 6.

სეს მიერ გამოცემული თისლის სვინაქსარი და მისი მინაწერები აწყურის ახლოს მდებარე თისლის სამონასტრო კომპლექსს დაუკავშირა[4].

მოგვიანებით, პარიზში ყოფნის დროს, ე. თაყაიშვილს საშუალება მიეცა აღეწერა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, სადაც ჩვენთვის საინტერესო სვინაქსარსაც შეეხო:

„სვინაქსარი თისლის მონასტრის, in folio, ეტრატზედ, ერთ სვეტად მომსხო ნუსხა ხუცურით, ხელნაწერის მცირედი ნაწილია დაცული, შეიცავს მხოლოდ 87 ფურცელს, ძველი პაგინაცია რვა ფურცლიან რვეულებზეა აღნიშნული; თავში აკლია 4 რვეული და მეხუთე რვეულს აკლია კიდევ ერთი ფურცელი; უკანასკნელი ეხლა მეთხუთმეტეა"[5]. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ხელნაწერის საფონდო ნომერია № 4 (ძველი ფონდით 3). ე. თაყაიშვილის აზრით, სვინაქსარი საყურადღებოა იმით, რომ ხელნაწერის აშიებზე მრავალი მინაწერია, რომლებშიც იხსენიებიან სამცხის გვარეულობის პირნი. მისი აღნიშვნით, ხელნაწერის მერმინდელი ხელით შესრულებული ერთ-ერთი მინაწერი 1446 წელს ეკუთვნის, ამიტომ სწორი არაა ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისი სვინაქსარის XVI—XVII სს-ით დათარიღების შესახებ, რომელსაც დაბეჭდილი ფრანგული კატალოგიც იმეორებს. ე. თაყაიშვილის აზრით, ხელნაწერი XIII—XIV საუკუნეებისაა და საჭიროა მინაწერების შესწორებული მეორე გამოცემა[6].

ამჯერად, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიღებული თისლის სვინაქსარის ფოტოპირი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ამ ხელნაწერის (Par. géor. 4) აშიებზე მოთავსებული აღაპები და მოსახსენებლები.

ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სვინაქსარს. სვინაქსარი, როგორც ე. თაყაიშვილის აღწერილობიდანაც ვიცით, ნაკლულია, შეიცავს 87 ფურცელს; შემორჩენილია მხოლოდ: ოქტომბრის (ნაწილი), ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვის საკითხავები. თისლის სვინაქსარი დაწერილია XIII—XIV სს-ის კლასიკური ნუსხურით. ხელნაწერის აშიებზე ნუსხურით და მხედრულით შესრულებული ასოცამდე მინაწერია, რომლებიც შინაარსის მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება: 1. მოსახსენებლები, 2. აღაპები და მასთან დაკავშირებული შეწირულებები, 3. კერძო ხასიათის მინაწერები.

თისლის სვინაქსარის მინაწერი აღაპებისა და მოსახსენებლების

---

[4] Материалы по археологии Кавказа, вып. XII, М., 1909 გვ. 7.

[5] ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 31.

[6] იქვე.

პალეოგრაფიული დათარიღება გარკვეული მიზეზების გამო გაგვიძნელდა: მუშაობა გვიხდებოდა არა ხელნაწერის დედანზე, არამედ ფოტოპირზე; ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, სვინაქსარის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი (სულ ოთხი თვის საკითხავი), რამაც გაართულა ერთ დროს ხელნაწერის აშიებზე მოთავსებული მოსახსენებლების, აღაპების და მათთან დაკავშირებული შეწირულებების მთლიანობაში განხილვა და დათარიღება.

თისლის სვინაქსარის მოსახსენებლების და აღაპების ქრონოლოგიური ფარგლები პალეოგრაფიული ნიშნებისა და სხვა მონაცემების მიხედვით დაახლოებით XIV ს-ის დასაწყისითა და XVI ს-ის დამლევით შემოიფარგლება.

მინაწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XIV ს-ის დასაწყისით განისაზღვრება, რაც განპირობებულია შემდეგით:

1. სვინაქსარი დაწერილია XIII—XIV სს-ის კლასიკური ნუსხურით, აქედან გამომდინარე მინაწერებს უფრო ადრეულ ხანას ვერ მივაკუთვნებთ.

2. მინაწერების მიხედვით სვინაქსარი თისლის მონასტრის საკუთრება ყოფილა. თისლის სამონასტრო კომპლექსი კი, მკვლევართა აზრით, XIV—XV სს-ის მიჯნას მიეკუთვნება.

3. თისლის სვინაქსარის მინაწერებიდან ორი თარიღიანია. ეს მინაწერები 1446 (4)[7] და 1518 (28) წლებითაა დათარიღებული. 1446 წლის მინაწერი (4), მ. ბროსეს გამოცემის მიხედვით, შესრულებულია 1432 წელს. საფიქრებელია, რომ მან ქორონიკონი „ႰႩႪႣ“=134 წაიკითხა, როგორც “ႰႩ“=120[8]. ე. თაყაიშვილის ცნობით, სხვა მინაწერებთან შედარებით იგი „მერმინდელი ხელით“ ყოფილა დაწერილი და 1446 წელს ეკუთვნის[9].

ამრიგად, თისლის სვინაქსარის ადრეული თარიღიანი მინაწერი 1446 წლისაა, რომელიც სხვა მინაწერებთან შედარებით „მერმინდელი ხელით“ ყოფილა შესრულებული.

4. თისლის სვინაქსარის ნუსხურით და მხედრულით შესრულებული მინაწერებიდან პალეოგრაფიულად ყველაზე ადრეულია № 49, რომელიც ფიფნას ასულ დოდას სააღაპე შეწირულებას წარმოადგენს. ამ მინაწერის პალეოგრაფიული ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თისლის სვინაქსარის მინაწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი.

№ 49 მინაწერი შესრულებულია მხედრულით. მასში ყურადღებას იქცევს ო, ლ, ღ, ბ, გ, შ, მ, ვ, წ, კ ასოების მოხაზულობა, რომ-

[7] თისლის სვინაქსარის მინაწერები ნაშრომში დანომრილია მიყოლებით (1—121). გამოკვლევაში და საძიებლებში რიცხვები ამ ნუმერაციას აღნიშნავენ.

[8] M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

[9] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც საკმაოდ არქაულია. ე. მაჭავარიანის დაკვირვებით, მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვანი სისტემა განვითარების ადრეულ ეტაპზე ნუსხური ასოების განაწილებას მისდევს: ი, ლ, ჰ, თ, ღ, პ, ო, ჲ ასოები შუა ორ ხაზს შორისაა მოთავსებული; ს, ზ, რ, ძ, მ, დ, ნ ასოები ზედა სამ ხაზს იკავებენ; ე, გ, ვ, ყ, ჟ, შ, უ, ფ, ბ, ხ, ტ, ც, ჭ, წ, ჯ, ჴ ასოები ქვედა სამ ხაზს შუა თავსდება; ხოლო კ, ქ, ჩ ოთხივე ხაზს ავსებენ[10]. იგივე მოვლენა შეინიშნება ჩვენს მინაწერში, აქ ასოები ნუსხური ასოების მსგავსადაა განაწილებული, რაც მინაწერის ადრეულობაზე მიუთითებს: ო ამობრუნებულია ზემოთ და შუა ორ ხაზს შორისაა მოთავსებული; ლ და ღ — ასევე შუა ორ ხაზს შორისაა მოთავსებული და ფეხი არა აქვს; ბ, გ, შ, მ — ქვედა სამ ხაზს შორის თავსდება, აქედან ბ, გ, შ ასოებს დიდი მუცელი ახასიათებთ; ვ  — ასევე ქვედა სამ ხაზს შორის თავსდება, მისთვის დამახასიათებელია დიდი თავი, ქვედა ჰორიზონტალური ხაზი კი წრეს არ კრავს; ჩ —ოთხივე ხაზს იკავებს, დასწვრივი ჰორიზონტალური ხაზი წაგრძელებულია; წ — ქვედა სამ ხაზს იკავებს მისთვის დამახასიათებელია გრძელი ფეხი; კ , ოთხივე ხაზს იკავებს, მისი ზედა რკალი უფრო დიდია, ქვედა ჰორიზონტალური ხაზი კი წრეს არ კრავს.

ზემოჩამოთვლილი პალეოგრაფიული ნიშნებით ეს მინაწერი XIV ს. არ სცილდება. ჩვენ მას XIV ს-ის დასაწყისით ვათარიღებთ, ე. ი. თისლის სვინაქსარის მინაწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი არის XIV ს-ის დასაწყისი.

რაც შეეხება თისლის სვინაქსარის მინაწერების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, იგი XVI ს-ით უნდა შემოიფარგლოს. სვინაქსარის მინაწერები პალეოგრაფიულად XVI საუკუნეს არ სცილდება. ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. XVI ს-ის II ნახევარში სამხრეთ საქართველო ოსმალეთმა დაიპყრო და სანჯაყებად დაყო. თისელი და მისი მიმდებარე ტერიტორიები 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“

---

[10] ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანი, თბ., 1977, გვ. 6—7.

მიხედვით ახალციხის ლივაშია, სადაც შედიოდა: მზვარეს, ჩრდილის, უდეს, ქვაბლიანის, აწყურის, ალთუნყალას, ოცხეს, ასპინძისა და ჭაჭარაქის ნაჰიჲეები[11].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალო დამპყრობლების შემოსევებისა და მათი ბატონობის პირობებში თისლის მონასტერი, ბუნებრივია, მოქმედი აღარ იყო. მონასტრის კუთვნილი ხელნაწერების ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი შემთხვევით თუ დაცვის მიზნით გატანილ იქნა სამხრეთ საქართველოდან. ამ მხრივ საინტერესოა თისლის სვინაქსარის ერთ-ერთი მინაწერი (23), რომელიც მეფეთ-მეფის ძის ძეს პატრონ გიორგის (შემდგომში გიორგი III იმერთა მეფე (1605—1639), იხ. № 23 აღაპის კომენტარი) ეკუთვნის. მინაწერიდან ვიგებთ, რომ პატრონ გიორგის თისლის ღმრთისმშობლის შეწევნით იქ მდგომი „წყეულნი ურუმნი“ გაუნადგურებია, ხოლო სვინაქსარი, რომელიც იქიდან „ლაშქრის კაცსა ვისმე წარმოეღო“, დაუხსნია და ღმრთისმშობლის ტაძარში დაუდია. საფიქრებელია, რომ სვინაქსარი თისლის მონასტრიდან წაიღეს და XVII ს-დან თისელში აღარ ინახება. თისლის სვინაქსარმა შემდგომში სხვა ბევრი ქართული ხელნაწერის ბედი გაიზიარა და მრავალჭირნახულმა, ფრაგმენტების სახით პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.

ამრიგად, თისლის სვინაქსარის მინაწერების ქრონოლოგიური ფარგლები XIV საუკუნის დასაწყისითა და XVI ს-ის დამლევით შემოიფარგლება.

სვინაქსარის აღაპთა და მოსახსენებელთა დასათარიღებლად შეძლებისდაგვარად დავაჯგუფეთ ერთი ხელით დაწერილი და ერთ დროს შესული აღაპები, რის საფუძველზეც შევადგინეთ ტაბულები. ამ სამუშაოს ჩატარების შემდგომ გამოიყო ცამეტი ხელი, რომლებიც პალეოგრაფიული ნიშნების, დაწერის წესისა და სააღაპე შეწირულებების ფორმის მიხედვით ერთიანდებიან:

I ხ ე ლ ი (ტაბულა I)

ნუსხური, განკვეთილობის ნიშნად იხმარება სამწერტილი ან ორწერტილი (მზევნაძის ცოლყოფილი მარიამ (22)[12], ხუცისძე საბა (75), ჯულაბაშვილი ნონა (95), ჯულაბაშვილის ცოლი თინა (96)).

---

[11] ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III (გამოკვლევა), თბ., 1958, გვ. 42—241.

[12] მზევნაძის ცოლყოფილი მარიამის აღაპი (22, I ხელი) დაკავშირებული უნდა იყოს ქურციკ მზევნასძის აღაპებთან (92,93, II ხელი). ამ მინაწერებისათვის დამახასიათებელია მ, ზ გრაფემების აწეული თავი, რაც ქრონოლოგიურად აახლოებს I და II ხელით შესრულებულ მინაწერებს. აღსანიშნავია, რომ II ხელით შესრულებულ მინაწერებში გვხვდება მარიამის აღაპი (89), რომელიც, შესაძლებელია, იგივე მზევნასძის ცოლყოფილი მარიამია (22).

II ხ ე ლ ი (ტაბულა II)

მსხვილი, გამოსარჩევი მრგვალი ნუსხური, განკვეთილობის ნიშ-ნად ზოგან იხმარება ორწერტილი, ქარაგმების ნიშნად — მოკლე კლაკ-ნილი ხაზი. დამახასიათებელია: მ და ზ გრაფემები, რომელთა თავი მაღლაა აწეული. ე, ვ, უ გრაფემების ფეხი შეზნექილია (ხუცისძე ზაქარია (36), ხუცისძე ანტონ (79), ზღუდა (80), პატრონი ვარამ (81, 82), მარიამ (89), მზევნასძე ქურციკ (92, 93).

III ხ ე ლ ი (ტაბულა III)

ნუსხური, ტექსტის დასასრულს იხმარება სამწერტილი, ქარაგმის ნიშნად მოკლე კლაკნილი ხაზი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად — ჲს, ს გრაფემის ჰორიზონტალური ხაზი შეზნექილია, შ გრაფემა მუცლიანია (აგჳი (3), ვაჰანთ ჟაოან და სამნა (12), ხუაშა (13)).

IV ხ ე ლ ი (ტაბულა IV)

წვრილი ნუსხური, ტექსტის დასაწყისსა და ბოლოში ზოგჯერ იხ-მარება სამწერტილი, ან ოთხწერტილი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშ-ნად — ჲს. დამახასიათებელია ქ გრაფემის მოხაზულობა, რომ-ლის ზედა ჰორიზონტალური ხაზი მოკლეა, ხოლო ქვედა შეზნექილი; დ-ს აქვს პატარა მუცელი და მოგრძო ყელი (ბადელთ (7,37), ოქროპირ (5,115), ჭაბუკაჲთ განძა (14), ცხადა (38[13], 83), ცხადა და ტუგა (73), მიქელ (64), ივლიტა (78), ეპრაქსი (97), ღართაე-ლი (107), აბოლა (109), ოქროკაცი (113), გირგუბი (46), ბოცა (52), ეკატერინე დიასამიძე (2)).

---

13 ცხადას აღაპის (38_2) ჩაწერა უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ნიკო-ლოზ და ცხადა მჭედლიშვილების მიერ თავის ბიძის მათესათვის სააღაპე შეწირულე-ბის მიცემა (№ 38_1). ცხადას აღაპი (38_2) სააღაპე შეწირულების შუაშია მოქცეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V ხ ე ლ ი (ტაბულა V)

ნუსხური, განკვეთილობის ნიშნებად იხმარება: წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი; გრაფემების ჰორიზონტალური ხაზები შეზნექილია; დ-ს ( ) ახასიათებს პატარა მუცელი და მოგრძო ყელი (გოდერძი (26), სიხათ თევდოსე (50, 58), თეკლა, ოქროპირის დედა (53, 55), სიხასძე ოქროპირ (54)).

VI ხ ე ლ ი (ტაბულა VI)

ნუსხური, განკვეთილობის ნიშნებად იხმარება: წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი. სააღაპე შეწირულებები დაწერილია ერთი ფორმით, გრაფემების ჰორიზონტალური ხაზები შეზნექილია, დამახასიათებელია დ, ტ, შ () გრაფემების მოხაზულობა (მ[...]ნ[ი]სძე მახარებელ (99), მგელაშვილი მახარებელ (104, 105), ტანუტერაშვილი ნიკოლოზ (112), მობიასძე დავით, ნინო (117), [ღალმაგაშვილი] ტეტნა (103, 108), ღალმაგაშვილი დავით (102, 103), სეფედავლაშვილი ნონა (106), ქურციკისძე მახარებელ (111)).

VII ხ ე ლ ი (ტაბულა VII)

ნუსხური, ტექსტის დასაწყისში იხმარება ოთხწერტილი, ბოლოს სამწერტილი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად — ჲს. სამ შემთხვევაში აღაპის ტექსტს წრე აქვს შემოვლებული (ბადელელი ვარდან (6), ისაკისძე ბასილი (27,30), მარიამ, ბარაის ცოლი (98)).

VIII ხ ე ლ ი (ტაბულა VIII)

ნუსხური, განკვეთილობის ნიშნებად იხმარება წერტილი, ორწერტილი. დამახასიათებელია უ, ყ, შ, ტ () გრაფემების მოხაზულობა (ყვარყვარე (69), ნათია (72), ქათათას ცოლი მამადედა (18)).

IX ხ ე ლ ი (ტაბულა IX)

ნუსხური (გულბუდახ (15), გიორგი (65)).

X ხ ე ლ ი (ტაბულა X)

ნუსხური (აბრამ (6), მშოიდობითი ივანე (77)).

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI ხ ე ლ ი (ტაბულა XI)

XIV—XV სს-ის მხედრული, განკვეთილობის ნიშნებად იხმარება ორწერტილი (თილისძე გიორგი (94), ისაკისძე ივვნ(!) (60)).

XIIხ ე ლ ი (ტაბულა XII)

XVI ს-ის უწიგნური მხედრული (66,67).

XIII ხ ე ლ ი (ტაბულა XIII)

ნუსხური, ტექსტის დასაწყისში იხმარება ოთხწერტილი, ბოლოს სამწერტილი, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად — ჲს (გორგატაჲთ უმცრო (11), გურამისძე გოლა (76)).

სვინაქსარი, როგორც ეს მინაწერებიდან ირკვევა, თისლის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. სოფელი თისელი, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ახალციხის რ-ში, აწყურის სოფსაბჭოში შედის და აწყურიდან 5—6 კილომეტრითაა დაშორებული. სოფლიდან 1—1,5 კმ-ის მანძილზე შემორჩენილია გუმბათიანი ეკლესია. ეკლესიის აღმოსავლეთით კლდის ქიმზე ციხის ნანგრევებია. ხეობის სიღრმეში, გუმბათიანი ეკლესიიდან დაახლოებით 500—600 მეტრის დაშორებით დგას ერთნავიანი მოხატული ეკლესია, კარიბჭითა და ეგვტერით. ირგვლივ კომპლექსში შემავალი შენობებისა და გალავნის ნანგრევებია.

თისლის სამონასტრო კომპლექსი რამდენჯერმეა აღწერილი პ. უვაროვას, ე. თაყაიშვილის, დ. ბაქრაძის და ვ. ბერიძის მიერ[14].

ვ. ბერიძემ არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე თისლის გუმბათიანი ტაძრის აშენების თარიღი XIV—XV სს-ის მიჯნით განისაზღვრა. მისი დასკვნით: „მგონია, არ შევცდებით, თუ (თისლის გუმბათიანი ეკლესიის აშენების — დ. კ.)... თარიღად XIV—XV ს-თა მიჯნას მივიჩნევთ, (თუ ვიგულისხმებთ, რომ ზემოხსენებული სვინაქსარი სწორედ ამ ეკლესიას ეკუთვნოდა და არა უგუმბათოს, მაშინ terminus post 1446 წ. იქნებოდა, რადგანაც, თაყაიშვილის ცნობით, ერთ-ერთი მინაწერი ამ წლისაა. მაგრამ, რომელი ეკლესიისა იყო სვინაქსარი — დადგენილი არაა)“[15]. ვ. ბერიძის აზრით, დაახლოებით XIV—XV სს-ის მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს თისლის ერთნავიანი ეკლესიაც[16].

---

[14] Материалы по археологии Кавказа, IV, М., 1894, გვ. 92—93; XII, М., 1909. 5—7; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Записки Общества любителей кавказской археологии, кн. I, Тиф., 1875; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1955.

[15] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 171; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბ., 1979, გვ. 685.

[16] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

თისლის სვინაქსარის მინაწერები საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მონასტრის აგების დრო. როგორც აღვნიშნეთ, თისლის სვინაქსარის მინაწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XIV ს-ის დასაწყისია. ეს ვარაუდი № 49 მინაწერის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გამოვთქვით. მინაწერიდან გაირკვა, რომ XIV ს-ის დასაწყისში ფიფნას ასულმა დოდამ „...ყოლად წმიდასა ღმრთისმშობელს თისლისასა და მონაზონთა და მკვიდრეულთა მათა და დედაბერთა საყდრის საგებად“ 300 თეთრი შესწირა, ე. ი. ამ დროისათვის თისელში მონასტერი უკვე არსებობდა. რომელი საყდრის „საგებად“ გაიღო ფიფნას ასულმა დოდამ შეწირულება, ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ, თუ მონასტერი უკვე არსებობდა, ხომ არ იყო ეს საყდარი თისლის გუმბათიანი ეკლესია? აქედან გამომდინარე, გადასინჯვას მოითხოვს მოსაზრება თისლის სამონასტრო კომპლექსის აშენების თარიღის შესახებ. ვფიქრობთ, რომ თისლის სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღი XIV—XV სს-ის მიჯნიდან XIV ს-ის დამდეგისაკენ უნდა გადმოიწიოს.

თისლის სვინაქსარის მინაწერების მიხედვით, თისლის მონასტერი შეწირულებებს ღებულობდა ახლომდებარე სოფლებიდან და ადგილებიდან. ესენია: ტყემლუანა (20, 103), ქორდვა (69), ასპინძა (91), გორი (106), ყვიბისი (88)[17].

ხელნაწერის აშიებზე მოთავსებული №№ 2, 28, 88, 91 მინაწერები დიასამიძეებს ეკუთვნით. № 88 მინაწერში, რომელიც XV ს-ის I ნახევრით თარიღდება და ვარამ დიასამიძის საალაპე შეწირულებას წარმოადგენს, აღნიშნულია: „დაიდვა ალაპი საუკუნოდ იანვარსა ზ ჩვენივე პატრონისა“, „შემოვსწირე მე, დიასამისძემან ვარამ ყუიბის ზურაბისძე საალაპედ ჩემსა მონასტერსა“. როგორც ირკვევა, თისლის მონასტერი დიასამიძეთა საგვარეულო მონასტერი ყოფილა.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დიასამიძეთა შესახებ ვკითხულობთ: „დიასამიძეები — ფეოდალური საგვარეულო სამცხე-საათაბაგოში. წერილობით წყაროებში 1443 წლიდან იხსენიებიან. ამ დროს სამფლობელო ჰქონდათ ჩრ.-აღმ. სამცხეში. XVI ს. დასაწყისში

---

[17] ტყემლუანა დღეისთვის ახალციხის რ-ნშია, აწყურის სოფსაბჭოში შედის. ამჟამად ამ სოფელს ტყემლანა ჰქვია და აწყურიდან 3 კმ-ის მანძილზე მდებარეობს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, იგი ახალციხის ლივაში, აწყურის ნაჰიაეში, შედიოდა (ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 125);

გორი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ახალციხის ლივაში, ოცხის ნაჰიაეში შედიოდა (იქვე, გვ. 168);

ყვიბისი მდებარეობს ბორჯომის ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით პეტრეს ლივაში, პეტრეს ნაჰიაეში შედიოდა (იქვე, გვ. 477).

დაეუფლნენ ჯერ აბუსერისძეთა მამულს მტბევარის სამწყსოში, შემდეგ ხურსიძეთა მამულს ლობიეთს — წურწყაბლის სამწყსოში“[18]. წერილი ეკუთვნის შ. ლომსაძეს. თუ რა წყაროებს ემყარება მკვლევრის ეს მოსაზრებები დიასამიძეთა საგვარეულოს შესახებ, გაურკვეველია. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, დიასამიძეები აბუსერისძეების მამულს არ დაუფლებიან; ასევე არასდროს ფლობდნენ ხურსიძეები ლობიერთა მამულს. სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით ხურსიძეები ჩორჩანელთა სამფლობელოზე არიან დამკვიდრებული.

XVI ს-ის დასაწყისის (1516) სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით: „ლობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამისძეთა აქუს“[19]. ლობიერნი და მათი შემცვლელი დიასამიძეები მაწყვერლის სამწყსოში შედიოდნენ, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიის (XVI ს-ის დასაწყისი) მიხედვით მაწყვერლის სამწყსოში შედიოდა:

„ყვიბის კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეით ხეობა და სადგერი, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის“[20].

ნ. შოშიაშვილის აზრით, XIII ს-ის II ნახევრიდან XIV ს-ის დასაწყისამდე მეფის ხელთ მყოფი ჯავახეთის და სამცხის ნაწილის ერისთავთ-ერისთაობა გადავიდა თორელთა საგვარეულო განშტოების ლობიარი ერისთავების ხელში. მისივე ვარაუდით, ლობიეთს ჯაყელები ხელთ იგდებენ XIV ს-ის I ნახევარში მაინც, ამის შემდგომ ლობიერები, შესაძლებელია, ერთხანს სახლობდნენ სამცხეში, როგორც ჯაყელებისადმი დაქვემდებარებული ფეოდალური საგვარეულო[21].

დიასამიძეთა დამკვიდრება ლობიერთა ადგილზე XIV ს-ის დამლევიდანაა სავარაუდებელი. თუ რა ტერიტორიებს ფლობდა დიასამიძეთა სახლი, ამის შესახებ პირდაპირ მითითებას იძლევა XVI ს-ის 30-იან წლებში შედგენილი ერთი თურქული დოკუმენტი[22].

ამ დოკუმენტის მიხედვით: „ერთი კიდევ არის შე[რ]მაზანოღლუ[23].

---

18 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1978, გვ. 503.

19 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 34.

20 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, III, თბ., 1970, გვ. 244.

21 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 48—49.

22 თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 29—30.

23 იგულისხმება შერმაზან დიასამიძე, იხ. ც. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; № 28 ალაპის კომენტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ნათესავებითა და ხელქვეითი პირებით ესეც მათი ტოლი და სწორია. მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია... იქით-კენ, აწყურად წოდებული ეკლესიის წინ ჩამდინარე წყალი საქართველოს (=ქართლის) საზღვარია, რომელიც ვახტანგ მეფის ქვეყანა არის", ე. ი. შერმაზან-ოღლი დიასამიძის სამფლობელო „ჯავახეთად წოდებული ადგილი" ყოფილა. აქედანვე ვიგებთ, რომ „თმოგვის ნაჰიჲეს უკან ჯავახეთის სახელით ცნობილი ერთი ოლქია, რომელიც ეშვება ყიზილბაშთა ქვეყნისაკენ. უამრავი ვაკე ადგილი აქვს და მინდორი. სოფლები მჭიდროდ დასახლებული. არტაანის მხარე გამორჩეული ადგილია საქართველოსი. იგი მასთან ერთად (ჯავახეთთან — დ. კ.) ერთ ქვეყანას წარმოადგენს. სოფლებს მოიცავს, იქ აწყურის დიდი ეკლესია არის. ვიდრე მას მიაღწევდე, დაახლოებით 200 სოფელია. აწყურის ეკლესიასთან რომ მიედინება და ეშვება, იმ მდინარის ზემო მდებარეობს საქართველოს (=სამცხეს) მთავარი ქალაქი, სახელად ახალციხე. მის გარშემო 200 სოფელია"[24].

აქ მოყვანილ ცნობებს დიასამიძეთა სამფლობელოების შესახებ ავსებს თისლის სვინაქსარის მინაწერები, საიდანაც ირკვევა, რომ თისლის მონასტერი ეკლესიით და ეგვტერით დიასამიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მინაწერების მიხედვით, დიასამიძეები თისლის მონასტერს სხვადასხვა შეწირულებებს აძლევენ ყვიბისსა (თორი) და ასპინძაში (ჯავახეთი). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიასამიძეები ჯავახეთში ფლობდნენ მამულებს. XVI ს-ის დამლევს ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდგომ დიასამიძეთა ერთი ნაწილი ქართლში გადავიდა და იქ დამკვიდრდა.

ამრიგად, ხელნაწერი Par. géor. 4 წარმოადგენს გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ სვინაქსარს, რომელიც XIII ს-ის დამლევს ან XIV ს-ის დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი. სვინაქსარის აშიებზე მოთავსებული მოსახსენებლები და აღაპები XIV—XVI სს-ით თარიღდება. მინაწერებიდან ირკვევა, რომ თისლის მონასტერი, რომლის საკუთრებასაც სვინაქსარი წარმოადგენდა, დიასამიძეთა საგვარეულო მონასტერი ყოფილა. რამდენადმე დავიწროვდა თისლის სამონასტრო კომპლექსის აშენების თარიღი, მან XIV—XV სს-ის მიჯნიდან XIV ს-ის დამდეგისაკენ გადმოიწია.

---

24 ც. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტები

1. 1r, მარჯვენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, ორი სტრიქონი:

26.IX

ა(ლა)პი მიქელისი,| შეუნ(დვნე)სა ღ(მერთმა)ნ.

2. 3r, ქვედა აშიაზე, წვრილი ლამაზი ნუსხურით, სამი სტრიქონი[1]:

28.IX

ს(უ)ლსა დიას(ა)მიძისა ას(უ)ლ(ი)ს ეკ(ა)ტ(ე)რინესსა| შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ, მისთა დედა-მ(ა)მ(ა)სა და ძმ(ა)სა შ(ეუნდვ)-ნ(ე)ს | ღ(მერთმა)ნ. ამ(ი)ნ. ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ჩ(ე)მი.

3. 14v, მარცხენა აშიაზე, წვრილი ლამაზი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

6.XI

ალაპი ა | გვს (ა) ჲ.

4. 14v, 6 ნოემბრის ტექსტის ქვემოთ, მხედრულით, სამი სტრიქონი, დათარიღებულია 1446 წლით. მ. ბროსეს გამოცემის მიხედვით ეს მინაწერი ივანეს ასულს, ვარამის ცოლს თინათინს ეკუთვნის და შესრულებულია 1432 წელს:

ქ. ივანე[ს] შვილი, ვარამის ცო[ლი] ნათია | მიიცვა-ლა, შეუნდნეს ღმ[ერთ]მ[ა]ნ. ქრ[ონიკო]ნი იყო | რკ⌜ი⌝დ[2].

---

[1] ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[2] C. C. (Christ!) la fille d'Iwané, et l'épouse de Waram, Thinathin, est morte: le Seigneur lui fasse grâce? C'était en l'année **120**.

მ. ბროსეს აღნიშვნით, სიტყვა „ცოლი“-დან იკითხებოდა მხოლოდ ასო „ც“. ასევე არ იკითხებოდა „თინათინის“ ბოლო ნაწილი — M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 17r, მარჯვენა აშიაზე, წვრილი ლამაზი ნუსხურით, სამი სტრიქონი:

8.XI

ალაპი| ო ქ რ (ო) პ (ი) რ ი ს ა ჲ.

6. 19r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

9.XI

ალ(ა)პი ა ბ რ ა მ [ი] | ს, შეუნდნე[ს]|ღმერთმ(ა)ნ.

7. 19r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

10.XI

ალაპი| ბ ა დ (ე) ლ თ (ა) ჲ | ვ ე.

8. 20v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

11.XI

ალა|პი ვ ა | რ დ ა ნ ი ს ი | ბ ა დ ე ლ ე | ლ ი ს ა ჲ.

9. 22v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

12.XI

ალ(ა)პი კ ო ს ა ს | ძ ი ს ა ფ ი ლ ი პ ე ს ი.

10. 23r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

13.XI

ალაპი| ა ს ფ ა ჲ ს (ა) ჲ.

11. 27r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

14.XI

ალაპი| გ ო რ გ ა | ტ ა ჲ თ უ | მ ც რ ო ჲ ს ა | ს ა ჲ.

12. 28v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ექვსი სტრიქონი:

15.XI

ალაპი სახ|უცოჲ ვ | ა ჰ ა ნ ა თ ი | ჟ ა ო ა ნ ი ს ი | და ს ა მ ნ ა ჲ|- ს ა ჲ, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

13. 29r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

16.XI

ალაპი სახუ|ცოჲ ხ უ ა შ ა | ს ა ჲ, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერ)თმ(ა)ნ.

14. 29r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

17.XI

ალ(ა)პი ჭ (ა) ბ (უ) კ (ა) ჲ თ |[3] გ (ა) ნ ძ ი ს ი და მის|თა შვილთ(ა)ჲ.

15. 29r, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ერთი სტრიქონი:

17.XI

ალაპი ერთი გ (უ) ლ ბ უ დ ა ხ (ი) ს, შ(ეუ)ნ(დვნე)ს ღ(მერთმა)ნ. ა(მი)ნ.

16. 31r, მარჯვენა ქვედა აშიაზე, მწიგნობრული ნუსხურით, ცამეტი სტრიქონი:

18.XI

შემოგწირე| და მოგახსენ|ე თქუენ, თ | ი ს ლ ი ს ა ჲ ღმრ|თისმშობ(ე)ლსა| და თქ(უე)ნსა მო|ნასტერსა მე,| შ ვ ე ლ ა ძ ე მ ა ნ ი მ ა რ ი ნ დ ო-ყოფილმან ი ო ს ე ბ და ჩემ[მ]ა მეცხ(ე)დრეყოფილმ[ა]ნ| ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ჭ ი ნ ჭ´ ი ხ თ ა ყა´ნა ქ ა რ ო ზ ა ნ ი ძ ი ს ა და ლ ა ლ (ა) ს ა ყანასა შუა| და დამიდევით ორნი ალაპნი: ერთი ჩ(ე)მთვ[ინ] და ერთი ჩ(ე)მისა მეცხ[ე]|დრისათვინ. რანიცა მწირველნი იყ(ვ)ნეთ, წირვ(ა)სა ნუ დამ(ა)კლ(ე)ბთ,| ღმრთისა სიყ[ვა]რულისათვ´ი(ნ). ვინცა დამ(ა)კლოს და არა მიყოს, | ჩ(ე)მთა-მცა ცოდვ´ათა მზღვ(ე)ლია.

17. 32v, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

19.XI

წ. (!) ალაპი ვ ა ხ ა ტ ე ა [თ] მ გ ე ლ ა ს ა ცოლისა მ ა რ ი ა მ ი ს ი და| მისისა შვილისა გ (ი ო რ გ) ი ს ი. რაზომნიცა მღდელნი იყონენ,| ვინცა არა უწიროს, ღ(მერ)თმან მათ ჰკითხოს მათი| ბ<ა>რალი. თუ[ე]სა ნოენბერსა ცხრამეტსა.

18. 33r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

29.XI

ალ(ა)პი ქ ა თ ა | თ ა ს ცოლისა| მ ა მ ა დ ე დ ა ს ი.

---

3 „ჭბკჲთ“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ სხვა ხელით.

19. 34v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, მურვან მცარქოზისძის ალაპის ზემოთ, ორი სტრიქონი:

21.XI

ალაპი| ხ [ო] რ ხ [ა] ჲ თ[4].

20. 34v, მარცხენა და ქვედა აშიაზე, ნუსხურით, თხუთმეტი სტრიქონი:

22—23.XI

[შე]მოგწირე| მ ც ა რ ქ ო ზ ი ს| ძ ე მ ა ნ მ უ რ ვ ა ნ | თქ(უე)ნ, თ ი ს ლ ი ს ა | ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლსა და| თქ(უე)ნსა მონასტ|ერსა სა[ა]ლაპე|დ ტ ყ ე მ ლ უ ა ნ ა ს | ვენახი ჩ(ე)მგ(ა)ნ ნ|ასყიდი ა მ ი ლ-ბ ა | რ ი ს გ (ა) ნ მ (ა) ხ ა რ ი | ს ძ ი ს ა გ (ა) ნ ა, ყ ო ფ უ რ ი თ'ი-ს ე ლ ს, ყანა ნ ა გ თ ნ ე ვ ი ს ქედს, გ დ ო რ ა უ ლ ი ს ა ბოლ[ო]სა.| დამიდევ[ი]თ ორი ალ(ა)პი: ერთი ჩ(ე)მ(ი)სა ს(უ)ლისათ[უი]ს ნ(ოე)ნ-ბ(ე)რსა **კბ**, ერთი ჩ(ე)მ(ი)სა ცო|ლისათ[უ]ის ნ[ა]თ ე ლ [ი] ს თ [უ] ი ს[5], ნ[ოე]ნბ[ე]რსა **კგ**. რაზომნ[ი]ცა მწირველნი იყ(უ)ნეთ, წირვასა ნუ და|მაკლებთ, თქ(უე)ნსა მადლსა.

21. 35r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

24.XI

ალ(ა)პი გ ო ა | რ ა მ ი ს ძ ი ს ა ი ნ (ა) ს ი.

22. 37r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

25.XI

ალ(ა)პი მ ზ ე ვ ნ (ა) ს ძ | ი ს ა ცოლყ(ო)ფილ|ისა მ (ა) რ (ი ა)-მ ი ს ი.

23. 37r, ქვედა და მარჯვენა აშიაზე, მხედრულით, რვა სტრიქონი:

ქ. ჩუენ, ძემან მეფეთ მეფის ძისამან, [პა]ტრონმა გ ი ო რ გ ი| დავიხსენით წმიდა ესე სუ[ი]ნაქსარი თ ი ს ლ ი ს ა ღ(მრ)თისმშობ|ლი-სა, ოდეს წყეულნი უ რ უ მ ნ ი იდგეს და შეწ[ე]ვნითა მისითა| მოვ-სრენით უ რ უ მ ნ ი; და წმიდა ესე სუ[ი]ნაქსარი ლაშქ|რისა კაცსა

---

[4] Aghape des Trakh—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[5] „ნთელსთის“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

საქ სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა
K 195.398

ვისმე წარმოელო და ჩუენ დავიხსენით [≈5]| დავდევით წმიდასა ტა-/ძარსა ღ(მრ)თისმშობლისასა. დედა ღ(მრ)თისაო,| შემწე მექმენ ორ-სავე შინა ცხოვრებასა [შეწ]ყალებისათვი|ს ძისა შენისა. ამინ, ამინ.

24. 39r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, (1) — ორი სტრიქონი; (2) — თვრამეტი სტრიქონი:

26-27.XI

(1) ალაპი| თ ე კ ლ [ა] ს ი.

2) შემოგიწირე| და მოგ[ა]ხსენე| თქ(უე)ნ, თ ი ს ლ [ი] ს ა | ღ(მრ)თისმშ(ო)ბელსა და| თქ[უე]ნსა მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა| მე, რ უ | ს [ა]ს[6] მოახლემ[ა]ნ| თ ე კ ლ ა ათასი| თეთრი და შე|მიკვეთ[ე]თ(!) ორი| ალაპი: ერთი| ნ[ოე]ნბ[ე]რსა კვ [და]| ერთი კზ. რა|სთენაცა [მწი]|რ-ვ[ე]ლნი ი[ყვნეთ],| წ[ირ]ვ[ა]სა ნუ [და]|მაკლ[ებთ], თ[ქუენსა]| მადლსა.

25. 39r, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ორი სტრიქონი:

26.XI

ქ. ალაპი გ ა ბ რ ი| [ე] ლ ი ს ძ ი ს ა.

26. 41r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

27.XI

ალაპი| გ ო დ ე რ | ძ ი ს ა ჲ.

27. 42v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი. ალაპის ჩაწერა ფრიდონ დიასამიძის 1518 წ. ალაპზე (იხ. № 28) ადრე უნდა მომხდარიყო, რაზეც ალაპის მდებარეობაც მიუთითებს:

28.XI

ალა|პი ბ ა | ს ი ლ ი ს ა | ი ს (ა) კ ა ჲ ს ძ ი | ს ა ჲ.

28. 42v, ზედა და მარცხენა აშიაზე, ლამაზი მწიგნობრული ნუს-ხურით, 1518 წ., ოცდაერთი სტრიქონი:

28.XI

გ(ა)რდაიცვა̃ლა ქ(რ)ისტ(ეს)ლი დ ი ა ს ა მ ი ს ძ ე პ(ა)ტრონი ფ რ ი დ ო ნ-ყოფილი| ფ ი ლ ი პ ე ნოენბერსა ოცდარვასა, ქ(ო)რ(ო)-ნიკონსა **ორას** და **ვ**.| პ(ა)ტრონმ(ა)ნ შ ე რ | მ ა ზ ა ნ ჯ ა ბ უ | კ ა ს ძ ე-

---

[6] მ. ბროსე კითხულობს „თრუსის“—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შე|მოატანა და| ყ(ოველ)თა ამ დღეთა| კ(ა)რგალებ(უ)ლი| ... იქნე|ბოდეს სამოცი|თაჲ ჩაფითა ღვინითა და მ[ე]ჯ|ლიშ[ი]თაჲ.| ვ[ი]ნ-ცაჲ გა|მ[ო]სწიროს, რი|სხვას-მცაჲ, მ[ა]მ[ა]ჲ, ძე და სული წმიდა და ყოვ|ელნი წმიდანი ღმრთ|ისანი, ნომცა(!) რ[ა]ჲ ჯსნ|ა იქნების სულისა| მისისა.

29. 43r, მარჯვენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, ცამეტი სტრიქონი:

29.XI

მე, ბასილა|შვ[ი]ლმან ნო|ნამან შემ|ოგწირე| თქუ-[ე]ნ, თისლ|ისა ღ(მრ)თ(ი)სმშობ|ლისა მონას|ტერსა ორმოცი|თანგ[ა] ჩ[ე]მთვინ|· სა[ა]ლ[ა]პეთ. ვინ| არა მიყოს ჩ[ე]მთ[უის]|-მცა, გა-იკითხვ|ის ამა დღეს.

30. 43r. მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

29.XI

ალაპი| ბასილისა| ის[ა]კჲსძი|საჲ.

31. 43r, მარჯვენა აშიაზე, გვიანი მხედრულით, ორი სტრიქონი:

ქ. დ[ა]თ[უ]ნა აჯარაძე[7], ამის მწერალი, ღმერთო შეიწყალე. ვ[ი]ნც შ[ე]ნდობა| ბ[რ]ძ[ა]ნოთ, ღმერთმან თქვენცა შეგ[ი]ნდოს.

32. 44v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

30.XI

ალ(ა)პი| ცეცხლ[აჲ]საჲ.

33. 46v, დაზიანებული გვერდის მარცხენა აშიაზე, XIV ს-ის მხედ-რულით, სამი სტრიქონი:

25.X

ალ[ა]პი არბ[ა]შის,| შეუნდნ[ე]ს| ღ[მერთ]მ[ა]ნ.

34. არ იკითხება:

2.XII

[ალაპი აბიბოსი, შეუნდვენ ღმერთმან][8].

35. არ იკითხება:

---

[7] M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[8] Aghape d'Abibo, Dieu lui fasse grâce — იქვე, გვ. 113.

2.XII

[ალაპი ა ბ გ ა რ ი ს ა, შეუნდვენ ღმერთმან][9].

36. 47r, მარჯვენა აშიაზე, მსხვილი ნუსხურით, ოთხი სტრიქონი, უ-ს გადმოსაცემად იხმარება ო გრაფემა:

3.XII

ალაპი ხ უ | ც ი ს ძ ი ს ა ზ ა ქ ა რ ი ა | ს ი.

37. 48v, მარცხენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, სამი სტრიქონი:

4.XII

ალაპი| ბ ა დ ე ლ | თ ა ჲ.

38. (1) 49r, ზედა და მარჯვენა აშიაზე, მწიგნობრული ნუსხურით, თერთმეტი სტრიქონი:

5.XII

წ.(!) დაგიდევით ჩუენ, მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ თ ა ალ[ა]პ[ი],¦ ნ ი კ [ო]-ლ ო ზ ა მ [ა] ნ და ც ხ [ა] დ ი ა მ [ა] ნ ჩ(უე)ნსა ბიძას მ ა თ ე ს. არა| ოდეს მოგეშ[ა]ლოს. ორს ლიტრასა თევზ[ს] დავხ[არ]ჯ[ავდი]თ, მის პ[უ]რს და| ღვ[ი]ნოს.| თუ არა| გიყოთ,| შენის [ც]|ოდვის მ|მზღონი| ჩ(უე)ნ ვიყნე|თ. შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

(2) მჭედლიშვილთა მინაწერის მე-4 და მე-5 სტრიქონებს შორის, წვრილი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

5.XII

ალაპი| ც ხ ა დ ი [ა ჲ] ს [ა] ჲ.

39. 50v, მარცხენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

5.XII

ალაპი| ს პ ნ ტ˜ტ თ ი.

40. 50v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ექვსი სტრიქონი:

---

[9] Aghape d'Abgar, Dieu lui fasse grâce—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.XII

აღაპი ი ვ ა ნ ე ს | ასულის ნ ა თ ი | ა ს ა ნიკოლოზო|[ზა]სა დღე-სა, ა ლ ჲ | ფ ი კ ა უ რ [ი] ს [ა] ჲ ვე|ნაჴისათუ[ი]ს.

41. 50v—51r, ქვედა აშიებზე, XIV ს-ის მხედრულით, თორმეტი სტრიქონი:

6.XII

ქ. სახელითა ღ(მრ)თისათა, შეწევნითა დედისა ღ(მრ)თის(ა)თა| მე, ს ი ა ო შ ა, ვიყიდე ქ ო შ ა თ ა ჩ ი ბ ა ჯ ე თ გ [ა] ნ ც ნასყიდი ნავე|ნა-ჴევი და მივეც საშ[ე]ნებლადა ლ ა კ ლ ა კ ი ს ძ ე ს ა სანახე|ვროდა; და მოვაჴს[ე]ნე და შევსწირე თ ი ს ლ ი ს ა ღ(მრ)თისმშო|ბელსა სა-[ა]ღაპედა ნიკოლოზობასა დღესა დედისა ჩ[ე]მი|სათ[ვი]ნ ვ ა ნ ე ნ ი ს-თ [ვ ი] ნ, არც ჩ[ე]მნისა მამოლისამ[ა]ნ(!) [≈6]|| ჩ[ემ]ჲ ნასყიდია და არა ვის რა საქმე უც ამას გარ|და და [ა]რავინ მემართლებით ამისა შოასა ჩ[ე]მ<ა>და შემდ[გო]|მადა, და ვინც და რამანც გ[ვ]არმა კაცმა მოშალოს,| ოგ<ა>მიამც(!) ღ(მერ)თი და ნესტორმსცა(!) და იუდასთა-ნა| არს ნაწილი მისი და სემაც(!) თისლის ღ(მრ)თ(ი)სმშობელი| [რი]ს-ხავს და [≈10] ბრალთა მზღველია. მე, ს ი ა ო შ ს ჩემითა...[10].

42. 51r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

7.XII

აღაპი| მ ჯ ე ც ო ნ ა | ს ძ ი ს ა ბ ა ს ი | ლ ი ს ა.

43. 53r, არ იკითხება:

8.XII

[აღაპი ი ო თ ა მ ი ს][11].

44. 53r, არ იკითხება:

---

[10] მ. ბროსეს მოაქვს სიაოშას სააღაპე შეწირულების ქართული ტექსტის ფრაგმენ-ტი: „...და არავნ მემრთლებით ამისა შოასა (pour შუასა) ჩემად მიდამოდ და ვნც და რამნც გრდა ჩაცმა მოშროს ომამიანც (pour უმამიანც) ღთი და ნესტრმსცა და იოდას (pour იუდას) თანა არს ნაწილი მისი და სემოცი თისლისა ღთს მშობელი რისხავს და მისნი... ბრალთა მზღველია მე სიაოშს ჩემითა...“—M. Brosset, დასახ ნაშრომი, გვ. 114—115.

[11] Aghape d' Iwthim, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.XII

[აღაპი ხ ო ს რ ო ს ი][12].

45. 53r, ქვედა აშიაზე, ლამაზი მწიგნობრული ნუსხურით, ორი სტრიქონი:

8.XII

აღაპი გ უ ჩ რ წ ი თ ლ ი ს შვილისა გ ო შ ფ ა რ ი ს ი. ათასი თეთრი შემოიტანა.| რანიცა ძმანი იყუნეთ, წირვასა ნუ დააკლებთ, თქ(უე)ნს მ(ა)დლსა, შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

46. 55r, მარჯვენა აშიაზე, წვრილი ლამაზი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

9.XII

აღაპი| გ ი რ გ უ ბ ი ს [ა] ჲ.

47. 55r, მარჯვენა აშიაზე, შერეული ნუსხურ-მხედრული დამწერლობით, ოთხი სტრიქონი:

9.XII

ამ(ა)სვე| დღესა აღაპი მ ჭ | ლ ე თ | შ ვ [ი] ლ [ი] ს ა[13].

48. (1) 55r, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ოთხი სტრიქონი:

10.XII

დაგ[ი]დევ[ი]თ აღ[ა]პი ქ ა რ ც [ი] ძ [ე] ს მ ხ [ო] ნ ს ა დეკ[ე]ბ[ე]რსა ათს. ვ[ი]ნც ჟამ[ი]სა მწ[ი]რვ[ე]ლ[ნ[ი] იყ[უ]ნ[ე]თ და არა მ[ი]წირ[ო]თ ჟამი| ჩ[ე]მთ[უი]ს, ვერა გ[ა]იკ[ი]თხვ[ო]თ.

(2) 55r, მარჯვენა აშიაზე, ერთი სტრიქონი:

აღაპი მ ხ ო ნ ი ს.

49. 56v, მარცხენა აშიაზე, XIV ს-ის მხედრულით, დაზიანების გამო ბოლო სტრიქონები არ იკითხება, 32 სტრიქონი:

---

[12] Aghape de Ghortso—M. Brosset, დასახ ნაშრომი, გვ. 115.

[13] მჭედლიშვილისა? (დ. კ.); Le même jour, aghape du fils de Mchnileth—იქვე.

10.XII, 10.I

სახელჲთა ღ[მრ]თისაჲ|[თ]ა და მეოხებით ყოლა|დ წმიდისა ღ(მრ)თ(ი)სმ|შობელ[ი]საჲ[თ]ა მო|[გახ]სენე და შემოგწ|ირე თქ[უ]ენ, ყოლად წმიდასა ღ[მრ]თისმშ[ო]ბელს| [თ] ი ს ლ [ი] ს ა ს ა და მონ|[ა-ზონთა] და მკ[ვი]დრეულთა| მათა და დედაბ[ე]რთა [ს]ამასი თეთ-რი საყდრი|[ისა] საგებად[14] და გა|მიკ[უე]თნეთ ორნი აღ[ა]პ[ი] | [სუ]-ლისა ჩემ[ი]ს[ა]თ[უი]ს. მე, ფ[ი ფ] ნ ა ს ა ას[უ]ლმ[ა]ნ დ ო დ ა მ [ა] ნ [≈4] ქალმან ჩემი მ[ო]ნ[ა]გე|[ბითა], არა ვის რა საქმე| ოც (!) ამისა [≈6] ერთი დ<ე>ლე დ[ე]კ[ე]ნბერ|[სა] ათსა და ერთი| [ია]ნვარსა [ათს]|. ვ[ი]ნც ესე ჩ[ე]მნი [≈4]| ჭ მ ნ [ი] ლ ი შ ე მ [ი] ც ვ ა ლ [ოს]...[15]

50. 57r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

11.XII

აღაპი ს ი ხ ა | თ თ ე ვ დ ო | <ო> ს ე ს ი |, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერ-თმა)ნ.

51. 58v, მარცხენა აშიაზე, მხედრულით, ოთხი სტრიქონი:

12.XII

ქ. აღ[ა]პი მ ა ქ ო ქ დ ა ს ი,| შეონდვნას(!) ღ(მერთმა)ნ.

52. 60v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

13.XII

აღაპი| ბ ო ც ა ჲ | ს ა ჲ.

53. 64v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

---

14 მ. ბროსე „საყდრის საგებად“ თარგმნის, როგორც საყდრის შესამკობად.

15 Au nom de Dieu, et avec la protection de la toute sainte Mère de Dieu de Thisel; je vous ai recommandé et offert, tout saint Mére de Dieu de Thisel, et aux religieux et religieuses y demeurant, trois cents pièces d'argent pour l'embellissement du temple. Célébrez à mon intention deux aghapes pour mon âme, à moi fille de Phiphni, issue des Doudagni, et que personne ne se mêle de cette affaire. Une aghape le 10 décembre, et la deuxième le 10 janvier. Quiconque changera ces dispositions, faites de mon plein gré, le Seigneur le changera dans les deux vies. Celui qui manquera de témoigner sa reconnaissance, sera puni avec Nestor et Origène, et obligé à solenniser ces aghapes. Aux prêtres et à tout autre qui ne les accomplira pas, Dieu leur imputera mes fautes et mes péchés, Le Seigneur bénira ceux qui les observeront, et changera dans les deux vies ceux qui les auront changées. Aidée de Dieu, moi Doudasagni, j'ai de mon chef écrit ceci dans ce sounaksari—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14.XII

ალაპი ს ი ხ | ა თ ო ქ რ ო | პ ი რ ი ს ა დედ|ისა თ ე კ ლ [ა] ჲ-
ს ი,| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

54. 68v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

15.XII

ალა˜პი| ს ი ხ ა ს ძ ი ˜ ს ა | მონაზონისა| ო ქ რ [ო] პ ი რ ი ს ა,|
შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

55. 71r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ექვსი სტრიქონი:

16.XII

ალაპი| ს ი ხ [ა] თ ო ქ | რ ო პ ი რ ი ს ა | დედისა| თ ე კ ლ [ა ჲ]-
ს ი,| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

56. 73r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ექვსი სტრიქონი:

17.XII

ალაპი| გ უ ა რ ა მ ე | თ ი ნ ა ნ ა ჲ | ს ა და კ ჳ | რ ი კ (ა) ჲ |-
ს (ა) ი, | შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ[16].

57. 74v, ქვედა აშიაზე, XV—XVI სს-ის მხედრულით, სამი სტრი-
ქონი:

18.XII

ქ. თ ი ს ლ ი ს ღ(მრ)თისმშობლის მონ[ა]სტ[ე]რმ[ა]ნ დაგ[ი]დე-
ვ[ი]თ შენ, მ რ ა შ [ა] ს ძ ე ს | დ [ა] ვ ი თ ს, შენ[ი]ს ძმისათ[უ]ის ალ[ა]-
პი, ტ [ა] ტ ა ს თ [უ] ი ს, დ[ე]კ[ე]მბ[ე]რს თურამეტს. | ვ[ი]ნც მწ[ი]რ-
ვ[ე]ლი იყოს, მ[ა]ს დღ[ე]ს წ[ი]რვა არვინ და[ა]კლოს.

58. 75r, (1) მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი;

(2) ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

18.XII

(1) ალ[ა]პი ს ი ხ [ა]თ | თ ე ვ დ ო ს | ე ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ-
მა)ნ.

---

16 Aghape de Gouaramé Thinana, et de Cyricé; Dieu leur fasse grâce—M. Brosset, ღასახ. ნაშრომი, გვ. 117.

(2) ვ[ი]ნცა ესე ს ი ხ ა თ ალაპი ხუთივე დააკლოს| და ანუ წერა-
დააკლოს, რისხ[ა]ვსა-მცა მ(ა)მ(ა)ჲ, ძე| და ს(უ)ლი წ(მიდ)აჲ და მ(ა)თ-
თუ[ი]ს-მცა გ[ა]ნიკ[ი]თხავს ღ(მერთ)ი. ა(მი)ნ.| და სრულმყ[ო]ფელნი
აკ(ურთ)ხნეს ღ(მერთმა)ნ და ყ(ოვლა)დ წ(მიდამა)ნ თ ი ს ლ ი ს ა |
ღ(მრთ)ისმშობელმან. ა(მი)ნ.

59. 76v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

20.XII

ალაპი| მ (ა) რ (ი ა) მ ც ლ ე | [ს ა რ ი ს ა][17].

60. 77r, (1) მარჯვენა აშიაზე, უწიგნური ნუსხურით, სამი სტრიქონი; (2) ქვედა და მარჯვენა აშიაზე, XV ს-ის მხედრულით, ცხრა სტრიქონი:

21, 23.XII

(1) ალაპი ი ს ა კ [ი] ს ძ [ი] ს ა | ი ვ ვ ნ ს (!).

(2) ქ. ესე წიგნ[ი] გჳ[ა]დრ[ე]თ და მოგაჴს[ე]ნ[ე]თ თქ[უე]ნ, თ ი ს-
ლ ი ს ა ღმრთისმშობელ[სა]| და თქ[უე]ნსა მონ[ა]სტერს მე, ი ს [ა]-
კ [ი] ს ძ [ე] მ ა ნ ი ვ ვ ნ[18](!) და ჩ[ემ]მან ც[ო]ლმან ბ ა რ | დ ა ხ ი ნ. შე-
მოგწირ[ე] ქ შ ნ ა რ ი თ გ ო დ რ ი ა უ ლ ი ს თავს ყ[ა]ნა| ჩ[ე]მისა სუ-
ლ[ი]ს სამლოცვ[ე]ლ[ო]დ. დამიდევ[ი]თ და გამ[ი]კ[ვ]ეთნ[ე]თ| ორნ[ი]
ალ[ა]პნი: ერთი დეკ[ე]ნბრის ოცდაერთს| და ერთი ოცდას[ა]მს, და
ვ[ი]ნც ესე ჩ[ე]მნ[ი]| ალ[ა]პნი დამ[ა]კლონ [≈5] გა[ი]კ[ი]თხვ[ო]თ.|
ვინც ამას დ[აა]კლ[ო]დ [≈4] რისხავს-[მ]ც მამ[ა],|[ძე და სული] წმიდა.

61. 77r, ზედა და მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ცამეტი სტრიქონი:

21.XII

1. თუვეს[ა დე]კ[ენ]ბ[ერსა კ]ა...
2. უ რ თ უ ხ უ [ც] ე ს ი სულკურთხეული პ[ატრონი]
3. გ ი ო რ გ ი. დაიდვა ალაპი გ ო გ რ უ ლ ი ს მამ[ულისათჳს]...
4. ... ვს გარდიჴდებოდეს დაუკლე[ბ]ლად ამა დღესა....
5. . . . .
6. . . . .
7. . . . .
8. . . . . შ(ეუნდვე)ნ

[17] Aghape de Mariam Tzlésar,—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
[18] მ. ბროსე კითხულობს „ივანეს"—იქვე, გვ. 118.

9. ღ(მერთმა)ნ. ა(მი)ნ. არა...
10. სებოდეს რა ამის მ|
11. ეტი არცა სათავე|
12. არცა რთ̃ლის[ა]ჲ ჭამა|
13. მონასტრის მეტისა[19].

62. 78v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

22.XII

ალაპი| ს ა ჲ თ (ა) ჲ ს (ა) ჲ,| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

63. 80v, მარცხენა აშიაზე, უწიგნური ნუსხურით, ორი სტრიქონი:

23.XII

ალაპი ბ[ა]რდ|[ა]ს[ი].

64. 81r, მარჯვენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

24.XII

ალაპი| მ (ი) ქ (ე) ლ ი ს ი.

65. 82v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ერთი სტრიქონი:

24.XII

გ (ი ო რ გ ი) ს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

66. 88v, მარცხენა აშიაზე, მხედრულით, ორი სტრიქონი:

ღ<ა>მერთო დ[ა] თ ი ს ლ ი ს ა ღმ[რთი]სმშობელო| უცოცხლე მცირსა ფრი...

67. 88v, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ორი სტრიქონი:

1. თ ი ს ლ ი ს ღმრთისმშობელო...
2. ... ფ რ ი დ ო ნ...[20]

---

[19] Le 21 décembre, le plus ancien des serviteurs du Christ, fils de Dieu, le béni prince Giorgi a fondé une aghape pour le domaine de Gogrouli, qui sera célébrée à jamais en ce jour; Dieu lui fasse grâce. Amen. On n'y changera rien ni pour la date, ni pour l'usage des viandes cuites dans le monastère— M. Brosset, დასახ. ნაშრომი გვ. 117.

[20] Mère de Dieu de Thisel, aie pitié de l'âme trêspécheresse de Chro et son Phridon.—იქვე, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68. 94v, ქვედა აშიაზე, XVII ს-ის მხედრულით, ოთხი სტრიქონი:

ქ. ესე წიგნი გორელის ა ქ უ ა ს შ ვ ი ლ [ი] ს ა რ ა ქ ე ლ ა ს და-წერილია,| ვინც რომ წაიკითხოთ, ერთი შენდობა მითხარით,| რომ ღმერთმან შეგინდნოს თქვენი ცოდვანი მეორეთ| მოსლ[ვ]ასა.

69. 100v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

25.XII

აღ(ა)პი პ(ა)ტ(რო)ნისა| ყ უ ა რ ყ [უ ა] რ ე ს ი,| ქ ო რ დ ვ ი ს ა |-თ (უ) ი ს, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

70. 100v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

25.XII

აღაპი| ა გ უ ტ ი ს (ა) ჲ.

71. 100v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

25.XII

აღაპი| მ ა რ კ ო ზ ც ლ | ე ს ა რ ი ს ა ჲ,| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

72. 100v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

25.XII

აღ(ა)პი პ(ა)ტ(რო)ნისა| ნ ა თ ი ა ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.| აღ(ა)პი პ(ატრო)ნისა ნ ა | თ ი ა ს ი ვ ე, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

73. 100v, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ერთი სტრიქონი:

27.XII

აღაპი ც ხ ა დ ა ჲ ს ა ჲ და ტ უ გ ა ჲ ს ა ჲ, ორთავჱვე ს[ა]წირად[21].

74. 101r, ზედა აშიაზე, ნუსხურით, ერთი სტრიქონი:

---

21 მ. ბროსეს მიხედვით, აქვე მოთავსებული ყოფილა პატრონი იანქოს მინაწერი (იხ. № 74):

27 décembre. Aghape de Tzkhada et Tchouga, au nom de tous les deux. Dieu fasse grâce à l'âme du béni prince Janwyé—M. Brosset, დასახ. ნაშრომი გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28.XII

ს(უ)ლსა ს(უ)ლკ(ურთ)ხ(ეუ)ლისა [პა]ტ[რონი]სა ი ა ნ ქ [ო] ს [ა], შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

75. 101r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, (1) ორი სტრიქონი, გადაშლილია;

(2) ორი სტრიქონი:

29.XII

(1) ალ(ა)პი ხ უ ც ი ს ძ ი | ს ა ს ა ბ ა ს ი.
(2) ალ(ა)პი ხ (უ) ც ი ს ძ ი ს ა | ს ა ბ ა ს ი.

76. 101r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ექვსი სტრიქონი:

29.XII

ალა|პი სახ|უცოჲ| გ უ რ ა მ ი ს | ძ ი ს ა გ ო | ლ ა ჲ ს ა ჲ.

77. 102v. მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

30.XII

ალ(ა)პი| მ შ ო ი დ ო ბ | [ი] თ ი ი ვ [ა] ნ ე ს ი, | შ(ეუნ)დ(ვ)ნ(ე)ნ ღ(მერთმა)ნ.

78. 103r, მარჯვენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, ორი სტრიქონი:

31.XII

ალ(ა)პი| ი ვ ლ (ი) ტ (ა) ჲ ს ი.

79. 106v, (1) მარცხენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, სამი სტრიქონი;

(2) მარცხენა და ქვედა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, თვრამეტი სტრიქონი:

1.XII

(1) ალაპი ხ | უ ც ი ს ძ ი ს ა | ა ნ ტ ო ნ ი ს ი.

(2) ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ)თ(ი)სათა,| მ[ა]მისა, ძისა| და ს[უ]ლისა წ|მიდისათა შე|მოგწირე| მე თქ[უე]ნ, თ ი | ს ლ ი ს ა ღ(მრ)თი|სმშობე|ლსა და თ|ქუ[ე]ნსა მო|ნასტ(ე)რსა მე, ხ უ ც ი ს ძ | ე მ (ა) ნ ა ნ-

ტო|ნ<ე> ყანა ვა|ლიეთ ქედს ნაფუძარი. შემიკვეთენით სამ-ნი ალ(ა)პნი| და ვინცა ძმ(ა)ნი იყვნეთ(!), თქუენსა მადლსა, წირვასა|-ნუ დამაკლებთ.

ბიბლიოთეკა

80. 107r, მარჯვენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, ორი სტრიქონი:

2.I

ალ(ა)პი| ზ ლ უ დ ა ს ი.

81. 108v, მარცხენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, სამი სტრიქონი:

3.I

ალ(ა)პი| პ(ა)ტრონისა| ვ(ა) რ ა მ ი ს ი.

82. 109r, მარჯვენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, სამი სტრიქონი:

4.I

ალ(ა)პი| პ(ა)ტრონისა| ვ ა რ ა მ ი ს ა.

83. 111r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

5.I

ალაპი| ც ხ ა დ ა ს (ა) ჲ | ვ ე.

84. 118v, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ერთი სტრიქონი:

წ. (!) ამისა შემკაზმავსა დ ე მ ე ტ რ ე ს, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

85. 121r, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ოთხი სტრიქონი:

ქ. უფლისა წყალო[ბ]ათა ზედა ლალადებს| და ბ...
ქ. ამისა დამწერელსა ა ნ ა ნ ი ა ს, შეუნ|დნეს ღმერთმან.

86. 124v, მარცხენა აშიაზე, მწიგნობრული ნუსხურით, სამი სტრი-ქონი:

9.I

იანვ[ა]რსა თ| ალაპი ხ [უ] ც [ი] ს ძ | [ი] ს ა ქ უ რ ც ი კ ი ს [ა] ჲ.

87. 124v, მარცხენა აშიაზე, მწიგნობრული ნუსხურით, (1) — ოთხი სტრიქონი; (2) — ხუთი სტრიქონი; (3) — თვრამეტი სტრიქონი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8.I

(1) ალაპი| ვ ა ხ ტ ა ნ | გ ა ვ რ ი | ს ი.

(2) ლაზარობ|ასა ალა|პი ვ ა ხ ტ ა | ნ გ ა ვ რ ი ს ი | ვ ე.

(3) ს(უ)ლისა წ(მიდ)ისა| მოფენასა ალა|პი ვ(ა)ხტ(ა)ნგ(ა)ვ-რ ი | ს ი ვ ე კ ო რ დ ა ჲ | ს ა ყანისათ(უი)ს.| და ვინცა ესე ჩ(ე)მნი| ალაპნი შეცვ(ა)ლნეს,| მ(ა)ს წესსა ზ(ედ)ა ვითა| ჩ(ემ)სა სიცოცხლე-სა| შ(ი)ნა ყოფილან, შემ-ც|ა-ცვ(ა)ლებ(ე)ლ [ა]რს იგი|ცა სჯ(უ)ლი-ს(ა)გ(ა)ნ ქ(რისტ)ე|ანეთ(ა)ჲსა და ჳ|რისხავს-მცა მ(ა)მ(ა)ჲ,| ძე და წ(მი-და)ჲ ს(უ)ლი.| და ვინ დაუკლე|ბლ(ა)დ ქნას, ჯ(უარ)ი აქუს და კ(ურ-თ)ხ(ე)ვ(ა)ჲ.

88. 124v—125r, ნუსხურით, (1) ქვედა აშიაზე; (2) ქვედა და მარჯვენა აშიაზე, 13 სტრიქონი:[22]

7.I

124v, (1) დაიდვა ალაპი საუკუნოდ იანვარსა ზ ჩ(უენ)ივე| პ[ა]ტ-[რ]ონისა. რა ვინ დაგაკლოს და ვ[ი]ნცა დაგაკლოს რა,| ბ ე რ ა კ ს ოდენიცა მწ[ი]რველი ი[ყ]ოს, შ(ე)ნთა-მცა ბრალთა მზ[ღველია]|... ათუს.

125r, (2) და შემოვსწირე მე, დ ი ა ს ა მ ი ს ძ ე მ ა ნ ვ ა რ ა მ ყ უ ი ბ ი ს | ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე საალაპედ საუკუნოდ ჩემსა მონა|ს-ტერსა. ვერ მოგიშალო ვერას ჟ[ა]მშიგ[ა]ნ ვერ მე| დ[ა ვ]ერცა ჩემის გჳარ[ი]ს(!) კ(ა)ცმან, ვერცა გადიდებისათ[უი]ს და ვერცა დამცრობისა-თუ[ი]ს|, და შეგიკუ[ე]თე ბეგრად ოცდაოთხი| თავჩაფი ღუინო წმიდა| დ[ა] ხუთი კ[ა]ბიწი წ[მი]და პური ჩემითა| კ[ა]ბიწითა.

89. 125r, მარჯვენა აშიაზე, მომსხო ნუსხურით, ორი სტრიქონი:

10.I

ალ(ა)პი მ ა რ ი ა | მ ი ს.

90. 127r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

11.I

ალაპი| ა ს უ რ ა ზ ა | ნ ი ს ი.

91. 127r, ქვედა და მარჯვენა აშიაზე, XVI ს-ის მხედრულით, გა-დასულია, არ იკითხება, ათი სტრიქონი. ლუარსაბ და ელია დიასამი-

---

22 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეების მიერ თავისი მამის, პატრონ ვარამის საალაპედ თისლის მონას-ტრისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნი[23]:

11.I

1. ქ. მე, დიასამიძემა ლუარსაფ და ელია დავაწე-
სეთ ქ[უ]რ
2. თხეულის ბატ[ო]ნის მამის ჩუ[ე]ნის ვარამის [სა]ალაპეთ
ასპინძას
3. ხ[ომას]შვილი ვარმელი მისსა მამ...
4. . . . .
5. . . . .
6. . . . .
7. . . . .
8. . . . .
9. . . . .
10. . . . .

92. 128v, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

11.I

შემოგწირე თქ(უ)ენ, თისლისა ღ(მრ)თისმშობლისა მონას|-ტერსა მე, მზევნ(ა)სძემ(ა)ნ ქურციკამ(ა)ნ ბურვათა ყანა ვარდუანა, და შემიკვთენით(!) ორნი ალაპნი|, ჩ(ე)მითა ალ[ა]-ლ[ი]თა ნასყიდითა. ვინცა გ(ა)მოსწიროს| ჩემთა-მცა ბრალთა მზღველი არის.

93. 129r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

12.I

ალაპი| მზევნა|სძისა ქუ|რციკასი.

94. 129r, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ხუთი სტრიქონი:

---

[23] „Moi Diasamidzé — Louarzaph et Elia, avons engagé pour aghapes du béni prince notre père Waram, Warmel, fils de Khoma d'Aspindza..... au mois d'août..... il refusera d'offrir..... ensuite la mère de Dieu de Thisel.... de Diasamidzé..... refusera d'offrir.....;“ აქვე მარი ბროსეს მოაქვს ლუარსაფ და ელია დიასამიძეების საალაპე შეწირულების ქართული ტექსტის ფრაგმენტი: „...ასპინძისა ხომასშვილი ვარმელი მისსა მმულისა მეთრის შვილისა... ის მამულით მარიამობის თვეს ოსდა... გამოწიროს თავდ რას ... ?ერმე თისლის ღმერთის მშობელისა დიასამიძი... მოწიროს“—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

13.I

ქ. ესე წიგნი მოგაჴს[ე]ნე თქ[უე]ნ, თ ი ს ლ ი ს ა ღმრ|თისმშობელისა მონასტ[ე]რსა მე, თ ი ლ ი ს ძ ე მ ა ნ | გ ი ო რ გ ი, შემოგწირე ჩემი მამული ჴ ლ ო ბ ა ნ ს, ვ ა [რ] | დ ა ნ ა უ ლ ი ს ა ქ[უე]მოთი ყანა და შემიკ[უე]თ[ე]თ ალ[ა]პი ი[ა]ნ|ვრისა ცამ[ე]ტსა.

95. 131r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

14.I

ალ(ა)პი ჯ [უ] ლ ა ბ | ა შ ვ ი ლ ი ს | ა ნ ო ნ ა | ს ი.

96. 132v, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ორი სტრიქონი:

15.I

ალ(ა)პი ჯ (უ) ლ ა ბ ა შ ვ ი ლ (ი) ს ა | ცოლისა თ ი ნ ა ს ი[24].

97. 134v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

16.I

ალაპი| ე პ რ ა ქ ს | ა ჲ ს ი.

98. 136v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

17.I

ალაპი| ბ ა რ ა ჲ ს ა | ცოლისა| მ (ა) რ (ი ა) მ ი ს ი.

99. 137r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

18.I

ალ(ა)პი მ [≈3] | ნ [ი] ს ძ [ი] ს ა მ ა [ხ ა] რ ე ბ ლ [ი] ს ა.

100. 138v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

19.I

ალაპი ღ ა | რ ი ბ ი ს ბ ა ი ა | ს ა, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთამ)ნ.

101. 139r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

20.I

ალაპი| ხ ო რ ხ ა ჲ თ ი | ვ ე.

102. 142v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი, დაზიანებულია:

---

[24] Aghape du fils de Djlaba—M. Brosset, დასახ ნაშრომი, გვ. 122.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.I

ალ[ა]პი დ ა [ლ] | მ ა გ [ა] შ ვ [ი] ლ | [ი] ს ა [დ ა ვ ი] თ [ი] ს, შ(ე-უნდვე)ნ| ღ(მერთმა)ნ.

103. 143r, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი[25]:

21.I, 26.I

შემ[ო]გწ[ი]რე და მოგ[ა]ჴს[ე]ნე თქ(უე)ნ, თ [ი] ს ლ ი ს ა ღ(მრ)-თ(ი)სმშ(ო)ბ(ე)ლსა და| თქ(უე)ნსა მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა მე, დ ა ლ მ ა გ [ა]-შ ვ [ი] ლ მ ა ნ დ ა ვ (ი) თ ტ ყ ე მ ლ | უ ა ნ ს ყანა მარანთა უკან [≈2) და გამიჩინ[ე]თ ორი ალ(ა)პი:| ერთი იანვ[ა]რსა კა და, ტ [ე] ტ-ნ [ა] ს თ [უ ი] ს[26], ერთი — კვ· და რ(ა)სთ(ე)ნიცა მწირვე|ლნი იყნეთ წ[ი]რვ[ა]სა ნუ დამ[ა]კლ[ე]ბთ.

104. 144v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

22.I

ალ[ა]პი მ გ ე ლ | ა შ ვ (ი) ლ ი ს მ ა ხ [ა] რ ე ბ ლ ი ს ა.

105. 146v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, ხუთი სტრიქონი:

23.I

ალ(ა)პი მ გ ე ლ | ა შ ვ ი ლ ი ს ა | მ ა ხ [ა] რ ე ბ ლ [ი] ს ა ჲ | კ ო-რ დ ა ს ყ (ა) ნ ი | ს ა თ უ [ი] ს.

106. 148v, მარცხენა და ქვედა აშიაზე, ნუსხურით, (1) — ექვსი სტრიქონი; (2) — ოცდაორი სტრიქონი:

24.I, 26.I

(1) ალაპი| ს ე ფ [ე] დ ა ვ | ლ ა შ ვ ი ლ [ი] ს ა | ე ფ უ თ ჳ ი მ ე ს-თ (უ ი) ს (!)| და მის[ი]სა ძმის[ა]ჲ| ნ ო ნ ა ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

(2) შემოგწირე| მე, ს [ე] ფ ე დ ა ვ ლ ა| შ ვ ი ლ მ(ა) ნ ნ ო ნ ა |-მ (ა) ნ თქ(უე)ნ, თ ი ს | ლ ი ს ა ღ(მრ)თისმ|შ(ო)ბელსა და თქ(უე)ნ-სა მონ|[ა]სტერსა გ ო | რ ს ყ(ა)ნა, გ ო რ | ს ა ზედათ და| ქუეშეთ წ|ყლამდის [ჩემი]|თა ალა[ლი]|თა ნასყ[იდით]ა.| !გამიკ[უე]თენ[ი]თ|

---

25 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

26 „ტტნსთს“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

ორნი <ა>ალა|პნი: ერთი ია|ნვ[ა]რსა **კღ** | და ერთი **კვ**·| და ვ[ი]ნცა/ მწ|[ი]რვ[ე]ლნი იყუ|ნეთ, წ[ი]რვასა ნუ დამაკლებთ, თქ(უე)ნსა მ[illegible]

107. 150v, მარცხენა აშიაზე წვრილი ნუსხურით, ოთხი სტრი-ქონი:

25.I

ალაპი| ღ ა რ თ ე ლ | ი ს ქ უ რ | [ც ი კ ი] ს ი[27].

110. 153r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

26.I

ალ[ა]პი| ტ ე ტ ნ [ა] | ს ი.

109. 152v, მარცხენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, სამი სტრიქონი:

27.I

ალაპი| ა ბ ო ლ ა ჲ | ს ი.

110. 153r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

28.I

ალაპი| ე ვ ფ რ | ო ს ი ნ ე ს ი.

111. 153r, ნუსხურით, (1) მარჯვენა აშიაზე, ხუთი სტრიქონი; (2) ქვედა აშიაზე, ექვსი სტრიქონი:

29.I

(1) ალაპი| ქ უ რ ც | ი კ ი ს ძ ი ს | ა მ ა ხ ა| რ ა ს ი.

(2) შემოგწირე თქ(უე)ნ, თ ი ს ლ [ი] ს ა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელსა და თქ(უენ)სა მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა | მე, ქ უ რ ც ი კ ი ს ძ ე მ (ა) ნ მ ა ხ [ა]-რ ე ბ ე ლ მ [ა] ნ ჰ უ რ ჰ ა ს ყანა|, თქ(უე)ნსავე ყანასა ზ(ედ)ა მოკი-დებით და გ[ა]მიკუ[ე]თ|ეთ ერთი ალაპი იანვ[ა]რსა **კთ**. და ვ(ი)ნცა|და მწირველნი იყუნეთ, წირვ[ა]სა| ნუ დამაკლებთ.

112. 154v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

[27] Aghape de Gharthel-Khours — M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

30.I

ალაპი ტ ა ნ უ ტ ე | რ ა შ ვ [ი] ლ ი ს ა | ნ (ი) კ (ო ლ ო) ზ (ი) ს ი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

113. 155r, მარჯვენა აშიაზე, წვრილი ნუსხურით, სამი სტრიქონი. აქვე მოთავსებული ყოფილა გ რ ი გ ო ლ მ ე ლ ა ს ძ ი ს საალაპე შეწირულების ტექსტი, რომელიც ფოტოზე აღარ იკითხება[28]:

ალ(ა)ბი| ო ქ რ ო | კ (ა) ც ი ს (ა) ჲ.

114. 155r, ქვედა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი:

ა მ ბ რ ო ს ე ს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)ო.| ა მ ბ რ ო ს ე ს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)ო.| ვ[ი]ნცა ბრძანოს შ(ეუნდვე)ნ | ღ[მერ]თ[მ]ან კდოოჴჴჴ(!)...

115. 157r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

1.II

ალაპი| ო ქ რ (ო) პ ი | რ ი ს (ა) ჲ ვ ე[29].

116. 158v. მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, სამი სტრიქონი:

2.II

ალ[ა]პი| ა ლ ი ა მ | ბ ა რ ი ს ა.

117. 158v, მარცხენა აშიაზე, ნუსხურით, (1) ექვსი სტრიქონი, დაზიანებულია; (2) სამი სტრიქონი:

3.II

1. ალაპი|...სა| დ ა ვ [ი თ ი ს ა] [კ ო რ] | დ ა ს ყანის|თ[ვი]ნ, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ[30].

(2) ალაპი| ნ ი ნ ო ს ი,| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

---

[28] Aghape d' Okrocatzi (homme d'or). Dieu fasse grâce à Ambrosé. Dieu fasse grâce à qui il voudra.

Je vous ai offert, moi Grigor, fils de Méla, à votre monastère, mère de Dieu de Thisel (une terre) au—dessus de M..... réboul, et vous m'accorderez une aghape—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[29] Aghape d'Okropiri encore une fois (Voy. 8 novembre). A vous et à moi Gabriel (que Dieu nous fasse grâce) — იქვე.

[30] Aghape de Dawith, fils de Mobia, pour la terre de Khhouda; Dieu lui fasse grâce — იქვე.

118. 159r, მარჯვენა აშიაზე, ნუსხურით, ოთხი სტრიქონი: ეროვნული ბიბლიოთეკა

5.II

აღაპი| ი ა ს ძ ი ს [ა] ჲ| ი ა ს [ი] ბ ა ლ ა |...[31]

119. 166v, მარცხენა აშიაზე, მხედრულით, ექვსი სტრიქონი:

ქ. უფალო ღმერთო,| ... კეთილად| მოუხდინე მონას შე|[ნსა]...თ ... სწავლით| გემსახუროს|[32].

120. 170v, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ორი სტრიქონი:

წმიდაო ღმერთო, წმიდაო უკუდაო(!), შვენიერმან ი ო ს ა მ ბ ა ძ ე- ლ ი ს ა[33].

121. 171r, ქვედა აშიაზე, მხედრულით, ორი სტრიქონი:

ქ. ღმერთო, შეიწყალე მონა ესე შენი სახელით ბ ა ს ი ლ ი| ორ-სავე ცხოვრებასა. ამინ. ამინ[34].

---

[31] Aghape d'Iasdzé, pour la terre d'Iasoba—M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[32] Seigneur Dieu, accorde une bonne instruction à ton serviteur, afin qu'étant éclairé, il te serve: resçois-le dans son humilité, à cause de Brka—იქვე.

[33] Dieu saint, saint, immortel, magnifique, daigne avoir pitié de Babel—იქვე, გვ. 125.

[34] ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომენტარები

№ 2, 24

28.IX ტექსტის ქვემოთ ჩაწერილია ეკატერინე დიასამიძის, მისი დედ-მამისა და ძმის მოსახსენებელი.

ეკატერინე დიასამიძე იხსენიება ე. წ. „კლარჯული სვინაქსარის“ (A 97) მინაწერში: „სულსა დიასამიძის ასულსა ეკატირინეს შეუნდნეს ღმერთმან და მისსა დედასა ამირეჯიბ[ი]სა ასულსა რუს[ა]სა შეუნდნეს ღმერთმან“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A კოლექციისა), I_1, თბ., 1974, გვ. 439). მინაწერის მიხედვით, ეკატერინე დიასამიძის დედა რუსა ამირეჯიბის ქალი ყოფილა. რუსა ამ საგვარეულოში ტრადიციული სახელია, რომელიც აქ ალექსანდრე I დიდის (1412—1443) ბებიის, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლის შემდგომ უნდა დამკვიდრებულიყო (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897, გვ. 213—215; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 18—21). რუსა გავრცელებული სახელი ჩანს სამხრეთ საქართველოში. თეოდორე ტირონის ცხოვრების ხელნაწერს (აკინძულია 1241 წლის პარხლის სახარებასთან ერთად), რომელსაც ქრ. შარაშიძე XIV—XV სს-ით ათარიღებს, აქვს მინაწერი, სადაც იხსენიება პატრონი რუსა: „პატრონი რუსა და ძენი მისნი ადიდენ<ა> ღ(მერთმა)ნ ორსავე ცხოვრებასა. ამინ“. ქრ. შარაშიძის ვარაუდით, იგი ალექსანდრე I-ის აღმზრდელი ბებია, ამირეჯიბის მეუღლე რუსა უნდა იყოს, რომელიც 1412 წ. ცოცხალი აღარაა (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982, გვ. 73). გამორიცხული არაა, რომ ამ მინაწერში მოხსენიებული პატრონი რუსა არის ეკატერინე დიასამიძის დედა, რომელიც ამირეჯიბის ასული ყოფილა.

ეკატერინე დიასამიძის მოსახსენებელთან (2) დაკავშირებით თისლის სვინაქსარში ყურადღებას იქცევს ვინმე თეკლას საალაპე შეწირულება, რომელსაც თისლის ღმრთისმშობლის მონასტრისათვის 1.000 თეთრი მიუცია (24, VII ხელი). მინაწერის მიხედვით, თეკლა პატრონი რუსას მოახლე ყოფილა. თეკლას საალაპე შეწირულებაში მოხსენიებუ-

ლი პატრონი რუსა (24) და ეკატერინე დიასამიძის დედა, ამირეჯიბის ასული რუსა, ჩვენ ერთი და იგივე პირი გვგონია.

თისლის სვინაქსარის № 2 და № 24 მინაწერებს XV—XVI სს-ით ვათარიღებთ.

№ 7, 8, 37

თისლის სვინაქსარში ბადელთა||ბადელელის სახელზე გაჩენილია სამი აღაპი: № 7, 8, 37. აქედან № 7 და № 37 აღაპები ერთი ხელითაა შესრულებული და IV ხელით დაწერილ მინაწერებთან ერთად ერთიანდებიან, № 8 ვარდან ბადელელის აღაპი კი VIII ხელითაა დაწერილი.

ბადელელი სადაურობის აღმნიშვნელი „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები გვარია. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ბადელა ახალციხის ლივაში, აწყურის ნაჰიჲეში მდებარეობდა. ბადელა, ს. ჯიქიას ვარაუდით, სოფელ ტყემლანასთან არის საძიებელი, რომელიც აწყურიდან დაახლოებით 3 კმ-ზე მდებარეობს (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 133). ი. სიხარულიძის ცნობით, ბადელა სოფელ ტყემლანასთან მდებარე ნასოფლარია და ამჟამად შედის აწყურის სასოფლო საბჭოში (ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 154). ბადელელთა აღაპები XV—XVI სს-ით თარიღდება.

№ 14

17.I დადებულია აღაპი ჭაბუკაჲთ განძასთვის და მისი შვილებისათვის. აღაპი დაწერილია მწიგნობრული ნუსხურით, ერთიანდება IV ხელით შესრულებულ მინაწერებთან ერთად. ტექსტში „ჭბკჲთ“ სხვა ხელით არის ჩამატებული. № 14 აღაპის დათარიღებაში შეიძლება რამდენადმე დაგვეხმაროს № 28 აღაპი, რომელიც 1518 წელს შერმაზან დიასამიძის მიერ ფრიდონ-ყოფილი ფილიპესთვისაა დადებული. № 28 აღაპის მიხედვით, ჭაბუკასძენი დიასამიძეთა ქვეშევრდომნი არიან: „პატრონმან შერმაზან ჭაბუკასძეთა შემოატანა და ყოველთა ამა დღეთა კარგაღებული აღაპი იქნებოდეს“. № 14 და № 28 აღაპები ერთ დროს რომ არის დადებული ხელის მსგავსებაც მიუთითებს.

ამდენად, **ჭაბუკაჲთ განძას და მისი შვილების** აღაპი სვინაქსარში 1518 წლის ახლო ხანებში ჩაწერილი და XV—XVI სს-ის მიჯნით თარიღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 22, 89, 92, 93

25.XI დაწესებულია აღაპი მზევნასძის ცოლყოფილის მარიამისათვის (I ხელი). თისლის სვინაქსარში ასევე გვხვდება ქურციკ მზევნასძის ორი აღაპი (92, 93, II ხელი). მას თისლის ღმრთისმშობლის მონასტერისათვის საალაპედ შეუწირავს „ალალით ნასყიდი“ ბურვათაყანა ვარდუანა. საფიქრებელია, რომ მარიამი ქურციკ მზევნასძის მეუღლე იყო. აღსანიშნავია, რომ II ხელით შესრულებულ მინაწერებში, სადაც ქურციკ მზევნასძის აღაპები შედის, გვხვდება ვინმე მარიამის აღაპიც (89). ეს მარიამი, გამორიცხული არაა, რომ იგივე მზევნასძის ცოლყოფილი მარიამია.

მარიამის აღაპი (22), სადაც იგი მზევნასძის ცოლყოფილად იხსენიება, ქურციკ მზევნასძის აღაპის შემდგომ უნდა იყოს დადებული. მზევნასძეთა აღაპები XV ს-ით თარიღდება.

№ 23

38r-ს ქვედა და მარჯვენა აშიაზე მოთავსებულია XVI—XVII სს-ის მხედრულით შესრულებული პატრონი გიორგის მინაწერი, რომელიც მეფეთ-მეფის ძის ძე ყოფილა. პატრონ გიორგის თისლის ღმრთისმშობლის შემწეობით იქ მდგომი ურუმები გაუნადგურებია, ხოლო სვინაქსარი, რომელიც „ლაშქრის კაცსა ვისმე წამოეღო“, დაუხსნია და ღმრთისმშობლის ტაძარში დაუდია. მ. ბროსეს აზრით, „მეფეთ-მეფე“ მიუთითებს იმერეთის მმართველზე. მისი აღნიშვნით, ამ კუთხის მხოლოდ სამ ბატონიშვილს ერქვა გიორგი — 1431, 1605 და 1707 წლებში. მ. ბროსე ხელნაწერის სიძველის გამო ვარაუდობს, რომ მინაწერში ლაპარაკია გიორგი I-ზე, ვახტანგ I-ის ძეზე, იმერეთის მეორე მეფეზე (M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 111).

ვინ შეიძლება იყოს მეფეთ-მეფის ძის ძე პატრონი გიორგი? საფიქრებელია, რომ მინაწერი ეკუთვნის გიორგი III (1605—1639) იმერთა მეფეს, რომელიც ბაგრატ III-ის (1510—1565) შვილიშვილი და გიორგი II-ის (1565—1583//85) ძმისწული იყო. ეს მოსაზრება გამართლებულია იმ მხრივაც, რომ გიორგი II-ის მეორე თანამეცხედრე თამარი შერმაზან დიასამიძის ასული იყო, თისელი კი, როგორც ვიცით, დიასამიძეებს ეკუთვნოდათ (იხ. №№ 88, 91 აღაპების კომენტარები). თუ მინაწერი მართლაც გიორგი III-ს ეკუთვნის, მაშინ პატრონი გიორგის მინაწერი 1605 წლამდე, მის გამეფებამდეა შესრულებული.

№ 27, 29, 30, 60

28.XI დადებულია აღაპი ბასილი ისაკჲსძისათვის. აღაპის ჩაწერა სვინაქსარში 1518 წლით დათარიღებულ ფრიდონ-ყოფილი ფილიპე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიასამიძის ალაპზე (28) ადრე უნდა მომხდარიყო. ამაზე მიუთითებს ხელნაწერში № 27 ალაპის მდებარეობა, რომელიც წრით არის გამოყოფილი № 28 ალაპისაგან. ბასილი ისაკჲსძის სახელზე 29.XI მეორე ალაპიცაა (30) გაჩენილი. სვინაქსარში № 27 და № 30 ალაპები ერთი ხელითაა ჩაწერილი, ისინი VII ხელით შესრულებულ მინაწერებთან ერთად ერთიანდებიან.

ბასილი ისაკჲსძეს შესაძლოა რაიმე კავშირი აქვს № 29 მინაწერთან, რომელიც ბასილაშვილ ნონას საალაპე შეწირულებას წარმოადგენს. ეს ალაპი ბასილი ისაკჲსძის ალაპის (30) ზემოთაა მოთავსებული. ბასილაშვილი შეიძლება ამ შემთხვევაში აღნიშნავს არა გვარს, არამედ ძეობას. ბასილაშვილ ნონას თისლის მონასტრისათვის 40 თანგა მიუცია. თანგა, როგორც ცნობილია, XV ს-ის დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტაა, რომელიც გაბატონებულ ერთეულს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფულად სისტემაში. საქართველოს ეს რეფორმა არ შეხებია, მაგრამ აქ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი XV ს-ის შირვანული თეთრები. თანგა გვხვდება XV—XVI სს-ის I ნახევრის ქართულ წერილობით წყაროებში (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფასმცოდნეობა ან ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ნაკ. III, თბ., 1925, გვ. 21—22; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 174; ქსე, IV, თბ., 1979; გვ. 585). № 29 ალაპში თანგას მოხსენიება ბასილაშვილი ნონას საალაპე წიგნს XV ს-ის II ნახევრით ათარიღებს.

ამრიგად, № 27, 29, 30 ალაპები XV ს-ის II ნახევრით თარიღდება, რომლის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი არის 1518 წელი.

თისლის სვინაქსარში ისაკისძეთა სახელზე გაჩენილია კიდევ ერთი ალაპი (60). ივვნ(!) ისაკისძეს და მის მეუღლეს ბარდახინს თისლის მონასტრისათვის შეუწირავთ ქშნარით, გოდრიაულისთავს ყანა, რისთვისაც მათთვის 21 და 23 დეკემბერს ორი ალაპი დაუწესებიათ.

ივვნ(!) ისაკისძის საალაპე შეწირულება მხედრულითაა დაწერილი, რომელიც ხელის მიხედვით XV ს-ზე გვიანი არ უნდა იყოს.

№ 28

1518 წ. 28.XI გარდაცვლილა პატრონი ფრიდონ-ყოფილი ფილიპე დიასამიძე, რომლისთვისაც პატრონ შერმაზანს თისლის მონასტერში 60 ჩაფი ღვინით კარგალებული ალაპი დაუწესებია.

შერმაზან დიასამიძე ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. იგი იხსენიება XVI ს-ის 30-იან წლებში შედგენილ ერთ თურქულ დოკუმენტში, სადაც ჩამოთვლილია სამხრეთ საქართველოს ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები, ციხე-სიმაგრეები და მათი მფლობელთა ვინაობა. დოკუმენტის მიხედვით: „ერთი კიდევ არის შერმაზან ოღლუ. თავისი ნათესავებითა და ხელქვეითი პირებით ესეც მათი ტოლი და სწორია. მისი სამფლობელო ჯავახეთად წოდებული ადგილია“ (ც. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57). აქ მოხსენიებული შერმაზანი და თისლის სვინაქსარის № 28 მინაწერის პატრონი შერმაზანი სავარაუდოა, რომ ერთი და იგივე პირია.

XVI ს-ის შუა ხანებში ქაიხოსრო ათაბაგის შაჰ-თამაზთან დაკავშირებამ ქაიხოსრო II-სა და ლუარსაბ I-ს (1527—1556) შორის ურთიერთობა გაამწვავა. ლუარსაბ I-მა ათაბაგის მოწინააღმდეგე მესხი თავადების დახმარებით საათაბაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის დაკავებაც კი მოახერხა. ამ ბრძოლაში შერმაზან დიასამიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ლუარსაბ I-ს უწევდა დახმარებას. 1552 წ. შაჰ-თამაზმა მოახერხა აჯანყების ჩახშობა, ხოლო ამ აჯანყების მოთავეები — ვახუშტი [შალიკაშვილი] და შერმაზან-ოღლი [დიასამიძე] — მოაკვლევინა.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ვახუშტი და შერმაზანი ლორე-ბამბაკის პატრონები ყოფილან (ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1925, გვ. 213—214). ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რომელიც ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობას ემყარება, ვახუშტისა და შერმაზან-ოღლის აყ შაჰრის და თმოგვის ოლქები ეკუთვნოდათ (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 59; ც. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45).

„პარიზის ქრონიკის“ მიხედვით: „მოესწრა ყაენი შაჰ-თამაზ. ბატონი ქაიხოსროვ მოვიდა: ვარძია, თმოგვი და ვანის ქვაბი, აწყური, ასპინძა, ვარნეთი და [სრულიად] სამცხის ციხეები აიღო და ვარძიის ღთისმშობელი და ს[რ]ულიად ციხეები ბატონს ქაიხოსროვს მისცა“ (ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 43; ახალი ქართლის ცხოვრება (III ტექსტი), ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 500). ჩამოთვლილი ადგილების მიხედვით, აშკარაა, რომ შაჰ-თამაზს აჯანყების მოთავეების — შალიკაშვილთა და დიასამიძეთა მამულები აუოხრებია. აწყური და ასპინძა აქ შემთხვევით არ არის დასახელებული, იგი დიასამიძეთა მამული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 41

6.XII ალაპი ვანენისათვის, რომელიც მას, მისმა შვილმა სიაოშამ დაუწესა ნიკოლოზობა დღეს და თისლის მონასტერს ქოშათა ჩიბაჯეთგან ნაყიდი ნავენახევი შესწირა. ამ ნავენახევის ნახევარი სიაოშას ლაკლაკისძისთვის მიუცია საშენებლად.

სიაოშას სააღაპე შეწირულება დაწერილია მხედრულით. ყურადღებას იპყრობს შ, წ, ჩ, ლ, პ ასოების მოხაზულობა, რომლებიც საკმაოდ არქაულია. მინაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV ს-ით თარიღდება.

№ 49

10.XII, 10.I დაწესებულია აღაპი ფიფნას ასულ დოდასათვის, რომელმაც თისლის ღმრთისმშობელს 300 თეთრი შესწირა საყდრის საგებად. ფიფნას ასულ დოდას სააღაპე შეწირულებიდან ირკვევა, რომ შეწირულების დროისათვის თისელში მონასტერი უკვე არსებობდა („თქუენ ყოლად წმიდასა ღ[მრ]თისმშობელს თისლისასა და მონა[ზონ-თა] და მკ[ვი]დრეულთა მათა და დედაბ[ე]რთა“). რომელი საყდრის საგებად გაიღო ფიფნას ასულმა შეწირულება ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ, თუ მონასტერი უკვე არსებობდა, ხომ არ იყო ეს საყდარი თისლის გუმბათიანი ეკლესია? შეწირულებაში საყდრის აგებაზეა ლაპარაკი, ამიტომ მ. ბროსეს თარგმანი „საყდრისა საგებად“, როგორც „საყდრის შესამკობად (l’embellissement du temple)“, არ არის სწორი (M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 116).

ფიფნას ასულ დოდას სააღაპე შეწირულება, რომელიც მას თავისი ხელით დაუწერია (იქვე, გვ. 116), ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ შესაძლებლობა გვეძლევა რამდენადმე დავაზუსტოთ თისლის სვინაქსარის მინაწერებისა და თვით სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღი. მინაწერი, ხელის მიხედვით, XIV საუკუნეს არ სცილდება. მას XIV ს-ის დასაწყისით ვათარიღებთ.

№№ 50, 53, 54, 55, 58

სიხათ//სიხასძის სახელზე თისლის სვინაქსარში დაწესებულია ხუთი აღაპი: სიხათ თევდოსესი (50, 58), მონაზონ ოქროპირისა (54) და მისი დედის თეკლასი (53, 55). სიხასძეების აღაპები ერთი ხელით არის დაწერილი (IV ხელი) და ერთდროულად ჩანს შესული თისლის სვინაქსარში.

გამორიცხული არ არის, რომ სიხათ ოქროპირს (54) ეკუთვნის № 5 და № 114 აღაპებიც (IV ხელი), რომლებიც ასევე ოქროპირის სახელზეა დადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 59, 71

20.XII გაჩენილია აღაპი მარიამ ცლესარისათვის. თისლის სვინაქსარში ასევე გვხვდება მარკოზ ცლესარის აღაპი (71), რომელიც XV ს-ის I ნახევრის აღაპებს შუა არის ჩაწერილი (იხ. № 69 აღაპის კომენტარი).

ცლესარები//სლესარები იხსენიებიან მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში (1516 წ.): „ბუმბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ავალიშვილთა და სლესართა აქუს“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 33, Ad 91); ამავე დოკუმენტის ვრცელი ნუსხის მიხედვით, ავალიშვილთა და სლესართა წინამორბედად ქუელისძეა დასახელებული (იქვე, გვ. 39, Ad 697).

სლესარი (var. ცლესარი), ისევე როგორც სამძივარი, ხახულარი და სამხრეთ საქართველოს სხვა საგვარეულო სახელები, ნაწარმოებია „არ“ სუფიქსით სლესის ციხის მფლობელობიდან. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სლესა ახალციხის ლივაში, აწყურის ნაჰიეში, შედიოდა (ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 143—144). სლესის ციხე და ნასოფლარი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აწყურის ქვემოთ 6 კმ-ზე (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155).

ცლესართა აღაპები (59, 71) XV საუკუნით თარიღდება.

№ 61

21.XII დადებულია აღაპი პატრონი გიორგისათვის, რომელიც მისთვის გოგრულის მამულისათვის დაუწესებიათ. პალეოგრაფიულად მინაწერი XIV ს-ზე გვიანი არ უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს ამავე, 77r-ზე მოთავსებული ისაკისძის სააღაპე შეწირულების (60) მდებარეობა, რომელიც პატრონი გიორგის მინაწერის შემდგომ ჩანს შესული სვინაქსარში და XV ს-ით თარიღდება.

მიუხედავად ფრაგმენტულობისა, № 61 აღაპი რამდენიმე მხრივაა საინტერესო. აღაპში პატრონი გიორგი [...]ურთუხუცესად იწოდება, რაც, ცხადია, მის მოხელეობაზე მიუთითებს. შემორჩენილ ფრაგმენტში „[...]ურთუხუცესი“ შეიძლება იგულისხმებოდეს [მანდატ]ურთუხუცესი ან [მსახ]ურთუხუცესი. ამ ორი სახელოდან XIII—XIV სს-ში მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა ჯაყელთა საგვარეულო — ბექა I (XIII ს. 80-იანი—1308 წწ.), სარგის II (1308—1334) (დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (XI—XIV სს. I ნახ.). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1981, გვ. 57—78). ცდუნება თისლის სვინაქსარის პატრონი გიორგის ჯაყელთა საგვარეულოსთან დაკავშირებისა დიდია, მით უმეტეს, რომ ვარაუდის საფუძვე-

ლი არსებობს: მინაწერში გიორგი პატრონად იწოდება, თისლის სვინაქსარის მინაწერებში კი პატრონად ჩვეულებრივ იწოდებიან ჯაყელები ან დიასამიძეები; ამავე დროს, პატრონი გიორგის [...]ურთუხუცესად მოხსენიება არ გამორიცხავს მის მანდატურთუხუცესობას, ამ სახელოს XIII—XIV სს-თვის ჯაყელთა სახლი ფლობდა; სახელი გიორგი გვხვდება ჯაყელ-ციხისჯვარელებში, რომელიც ამ საგვარეულოში ჩორჩანელთა საგვარეულოდან ჩანს შესული (დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის, ცისკარი, 1980, № 9, გვ. 137—138). ჯაყელთა საგვარეულოში სახელი გიორგი ასევე შეიძლება გაჩენილიყო გიორგი V ბრწყინვალის (1314—1346) გავლენით, რომელიც ბექა I-ის შვილიშვილი იყო; გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თისლის მონასტერში პატრონი გიორგის აღაპი დაწესებულია გოგრულის მამულისათვის. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელი გოგრული მდებარეობდა ახალციხის ლივაში, უდის ნაჰიეში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე (ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 108—109), რომელიც სწორედ ჯაყელციხისჯვარელთა სამამულე ქვეყანას წარმოადგენდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, პატრონი გიორგის მანდატურთუხუცესობა და ჩვენ მიერ მისი ჯაყელთა საგვარეულოსთან დაკავშირების ცდა მხოლოდ ვარაუდია და გადაწყვეტილად არ ჩაითვლება.

პატრონი გიორგის აღაპთან დაკავშირებით შეიძლება მეორე ვარაუდის დაშვებაც, რომელიც უფრო რეალურად გვესახება. შესაძლებელია ფრაგმენტი „[...]ურთუხუცესი“ აღვადგინოთ, როგორც [მსახ]ურთუხუცესი, პატრონი გიორგი კი ადგილობრივ ფეოდალად და ათაბაგთა სახლის, ან აწყურის საეპისკოპოსოს მსახურთუხუცესად მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესში თითოეულ სამეფო-სამთავროში საკუთარი ხელისუფლებისა და მმართველობის აპარატი შეიქმნა, რაც ისტორიული წყაროებითაც არის დადასტურებული. საფარის სამრეკლოს წმ. მარინეს ეგვტერის ფრესკულ წარწერაში იხსენიება მსახურთუხუცესი ლასურ ლასურისძე, რომელიც ბექა I მანდატურთუხუცესის (1285—1308) მოხელე უნდა ყოფილიყო (ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57). წერილობით წყაროებში ასევე დადასტურებულია აწყურის მსახურთუხუცესის არსებობა. 1281/1282 წწ.-ში ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსის მიერ არვანბეგ საბაისძისადმი მიცემულ დაწერილს ამტკიცებს აწყურის მსახურთუხუცესი ნიკოლაოზი (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 179).

ამრიგად, № 61 მინაწერი XIV საუკუნით თარიღდება, ხოლო მასში მოხსენიებული პატრონი გიორგი დასაშვებია, რომ ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალია, რომელიც ათაბაგთა სახლის ან აწყურის მსახურთუხუცესი უნდა ყოფილიყო.

№№ 69, 4, 40, 72

25.XII ალაპი პატრონი ყვარყვარესათვის, რომელიც მისთვის მონასტრის კრებულს ქორდვას მიცემული შეწირულებისათვის დაუწესებია.

№ 69 ალაპი ყვარყვარე II დიდისათვის (1416/1451—1498) უნდა იყოს დადებული. ამას ადასტურებს მის მიერ 1443 წელს მცხეთის საყდრისათვის ქორდვაში მიცემული გლეხის შეწირულების სიგელი: „ქ. კ(ათალიკო)ზს პატრიარქსა შიოს მე, ათაბაგ-ამირსპასალარის ივანეს შვილმა ყუარყუარე შემოგწირე და მოგაჴსენე ქორდვას გლეხი სამხარაძე მისითა მამულითა, რისაც დღეს მქონებელი არს... დაიწერა ქკსა **რლა**, დეკემბერსა დამდეგსა, ჴელითა ოსნასძისა იოვანესითა“ (ქრონიკები, II, გვ. 254; სცსა 1449—1182, 1449—1648). თ. ჟორდანიას მოჰყავს ცნობა რუსულ გუჯარ-ნუსხებიდან, რომლის მიხედვითაც, 1363 წელს ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარეს მცხეთისთვის კორდოვში შეუწირავს მახარაძე. თ. ჟორდანიამ, სრულიად სამართლიანად, საბუთის წაკითხვა და თარიღი ეჭვქვეშ დააყენა და იგი 1443 წელს ყვარყვარე II-ის მიერ ქორდვაში მიცემულ შეწირულებასთან გააიგივა (ქრონიკები, II, გვ. 188, 254).

ყვარყვარეს მიერ ქართლის კათალიკოს შიოსათვის ქორდვას მიცემული შეწირულება მისი მამის, ივანე ათაბაგ-ამირსპასალარის (XIV ს. 90-იანი — 1444 წწ.), სიცოცხლეშია გაცემული. ვფიქრობთ, რომ თისლის სვინაქსარში ყვარყვარეს ალაპიც ამავე დროს არის დადებული, მით უმეტეს, რომ ალაპი ქორდვას მიცემული შეწირულებისთვისაა დაწესებული.

საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ ქორდვას ადგილმდებარეობა. როგორც აღვნიშნეთ, 1443 წელს ყვარყვარეს მცხეთისთვის შეუწირავს ქორდვაში მცხოვრები სამხარაძე. უფრო ადრე კი, ელიოზის (1399—1419) კათალიკოსობის დროს, ივანე ათაბაგს მცხეთის ეკლესიისათვის ნოაში შეუწირავს სამხარასძე. მოგვყავს ნაწყვეტი საბუთის მოღწეული პირიდან: „ქ. მე, ივანე მოგაჴსენეთ თქუენ, ქათალიკოზსა ელიოზს... ნოასა სამხარასძე მისითა მამულითა“ (ქრონიკები, II, გვ. 28; სცსა 1449—1645). ივანე ათაბაგის ამ შეწირულებაში უნდა იგულისხმებოდეს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ისტორიულ თორში დასახელებული ნუა (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 84). სამხარასძეები, რომ ნუას ცხოვრობდნენ, სხვა წყაროებითაც

დასტურდება. ისინი ნუაში იხსენიებიან ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის სიგელში (1392 წ.XII.I. ხ ი Hd 8712), ხოლო 1447 წელს გიორგი VIII-ს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ნუაში მცხოვრები სამხარასძე (1447 წ. სცსა 1448—5016). ზემოთქმულიდან გამომდინარე ქორდვა სამხრეთ საქართველოშია საძიებელი, მაგრამ აქ მის ადგილმდებარეობას ვერ მივაკვლიეთ. შეიძლება ქორდვა გავაიგივოთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულ სოფელ ქორთთან, რომელიც ახალციხის ლივაში, აწყურის ნაჰიეში შედიოდა. ს. ჯიქიას დაკვირვებით, „დავთრის“ ქორთა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტი ქორთა შეიძლება ერთი და იგივე იყოს (ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 139). გამორიცხული არ არის ქორდვაში იგულისხმებოდეს ისტორიულ საბუთებში მოხსენიებული შიდა ქართლის სოფელი ქორდი// ქორდა, რომელიც სვეტიცხოვლისათვის ყოფილა შეწირული (1392 წ. XII.1. ხ ი Hd 8712; 1559 წ. XII. ხ ი Ad 1572; 1574 წ. III.14. ხ ი Hd 1654; 1638 წ. ხ ი Hd 1710; 1656 წ. ხ ი Sd 2841; 1694 წ. X.5. ხ ი Hd 13999 და ა. შ.). ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ სამხარაძეები შიდა ქართლში მოსახლეობდნენ (1687 წ.V.25. ხ ი Sd 499, [1666—1669 წწ.]. ხ ი Sd 818). დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ქორდი შედის გორის რაიონში, დიცის სასოფლო საბჭოში (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1977, გვ. 41). ამდენად, დასაშვებია, რომ ყვარყვარე II-ის შეწირულებაში ლაპარაკია შიდა ქართლში მდებარე სოფელ ქორდზე.

თისლის სვინაქსარში პატრონი ყვარყვარეს აღაპთან (69) დაკავშირებულია № 72 აღაპი, რომელიც პატრონ ნათიას ეკუთვნის: „აღაპი პატრონისა ნათიასი, შეუნდვენ ღმერთმან. აღაპი პატრონისა ნათიასივე, შეუნდვენ ღმერთმან“. პატრონი ნათიას აღაპი ყვარყვარეს მინაწერის ქვემოთაა მოთავსებული. ორივე აღაპი (69, 72) 25 დეკემბერსაა დაწესებული და დაწერილია ერთი ხელით (VIII ხელი). ნათია ჯაყელთა საგვარეულოში გავრცელებული სახელია. ნათია ერქვა ივანე ათაბაგის დას, ყვარყვარე II-ის მამიდას. ჯვრის მონასტრის აღაპებში შეტანილია ათაბაგ ივანეს დის, დედოფალ ნათია-ყოფილი ნისიმეს აღაპი (ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 99). ეს ნათია, ე. მეტრეველის მიხედვით, ათაბაგ ივანე აღბუღას ძის დაა, ხოლო მისი აღაპი XV ს-ის 10-იანი წლებით თარიღდება (იქვე, გვ. 167—168). თუ ვისი თანამეცხედრე იყო დედოფალი ნათია-ყოფილი ნისიმე არაა ცნობილი. ე. მეტრეველის ვარაუდით, იგი შესაძლებელია არის გიორგი VII-ის (1393—1407) პირველი ცოლი, შემდეგ მონაზვნად შემდგარი.

მისივე აზრით, შეიძლება ამით აიხსნას ივანე ათაბაგის ერთგულება გიორგი VII-სადმი (ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168). წყაროებს გიორგი VII-ის თანამეცხედრის სახელი არ შემოუნახავს. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ გიორგი VII-ის თანამეცხედრე, მართლაც, ივანე ათაბაგის და, დედოფალი ნათია-ყოფილი ნისიმე იყო. შეიძლება სწორედ ამით აიხსნება „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში (II ტექსტი) დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც, გიორგი მეფეს „ესუა ცოლად ამირეჯიბის ქუცნას ასული ნათია. და შვა ძე სამი: ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგი“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 472). გიორგი VII-ს ალექსანდრე I დიდის (1412—1443) მამად მიიჩნევს ვახუშტი ბატონიშვილიც (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 278). როგორც ცნობილია, ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათია და მისი ძეები: ალექსანდრე, ბაგრატი და გიორგი არიან გიორგი VII-ის ძმის, კონსტანტინე I-ის, ცოლ-შვილი. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში და ვახუშტი ბატონიშვილთან შეცდომა ორი ნათიას: დედოფალ ნათია-ყოფილი ნისიმეს და ქუცნა ამირეჯიბის ასულ დედოფალ ნათიას აღრევით უნდა იყოს გამოწვეული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „...შემდგომად ძლიერსა ბრძოლასა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან ქ҃სა **ჩ҃ჟზ**, ქართულსა **ჟ҃ე** (=1407)... შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კოსტანტინე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 276—277). გიორგი VII უმემკვიდრეოდ გარდაცვლილა, რასაც ადასტურებს ტახტის მის ძმაზე, კონსტანტინე I-ზე გადასვლა. საფიქრებელია, რომ გიორგი VII-ის გარდაცვალების შემდეგ, ნათია დედოფალი თავის ძმასთან, ივანე ათაბაგთან დაბრუნდა სამცხეში და ნისიმეს სახელით მონაზვნად აღიკვეცა. თუ დედოფალი ნათია-ყოფილი ნისიმე, მართლაც, გიორგი VII-ის თანამეცხედრეა, მაშინ შეიძლება აიხსნას ყვარყვარე II-ის მიერ შიდა ქართლში, ქორდში შეწირულების გაცემის ფაქტიც.

თისლის სვინაქსარში ნათია დედოფლობის გარეშე იხსენიება და მხოლოდ პატრონად იწოდება. მას დედოფალ ნათია-ყოფილ ნისიმესთან ვერ გავაიგივებთ. ამდენად, ჯაყელთა საგვარეულოში უნდა დავუშვათ მეორე ნათიას არსებობა. თისლის სვინაქსარში ყურადღებას იპყრობს ვინმე ივანეს ასულ ნათიას აღაპი, რომელიც მისთვის ნიკოლოზობა დღეს ალდფიკაური ვენახისათვის დაუწესებიათ (40), ხოლო სვინაქსარშივე დაცული მეორე ცნობის მიხედვით, 1446 წლის 6 ნოემბერს გარდაცვლილა ივანეს შვილი, ვარამის ცოლი ნათია (4). ჩვენ № 40 და № 4 აღაპები ყვარყვარესა და ნათიას აღაპებს (69, 72) და-

ვუკავშირეთ, რის საფუძველზეც მათში მოხსენიებული ნათია, ივანე ათაბაგის ასულად და ყვარყვარე II-ის დად მივიჩნიეთ (იხ. № 88 ალაპის კომენტარი).

ამრიგად, № 72 ალაპი ივანე ათაბაგის ასულს, ყვარყვარე II-ის დას ნათიას უნდა ეკუთვნოდეს. № 69 და 72 ალაპები, მასში მოხსენიებული პატრონი ყვარყვარესა და პატრონი ნათიას მიხედვით, XV ს-ის I ნახევრით თარიღდება.

№ 74

102r-ს ზედა აშიაზე მოთავსებულია პატრონი იანქოს მოსახსენებელი, რომელიც გარდაცვლილად (სულკურთხეულად) იხსენიება.

იანქო გავრცელებული სახელია ჯაყელთა საგვარეულოში. XV—XVI სს-ში, სამცხის ათაბაგთა სახლში ამ სახელით ცნობილია ორი პირი: ყვარყვარე II-ის (1451—1498) ძე იანქო და ქაიხოსრო II-ის (1545—1573) ძე საბა-იანქო.

ყვარყვარე II-ის ძე იანქო იხსენიება ათონის ალაპებსა და ხელნაწერთა (A 85, H 3004) მინაწერებში. აქ დაცული ცნობების მიხედვით, ათაბაგი იანქო პატრონად დაჯდა 1478 წელს და გარდაიცვალა 1505 წელს (მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 27, 37). კინკლოსებში დაცული ცნობების საფუძველზე თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ იანქო ათაბაგად დაჯდა 1478 წელს (ქრონიკები, II, გვ. 299). ამ საკითხთან დაკავშირებით მისაღებად მიგვაჩნია ქრ. შარაშიძის თვალსაზრისი. მისი აზრით, 1478 წელს ყვარყვარე II-მ იანქოს, სრულწლოვანებასთან დაკავშირებით, საპატრონო გამოუყო და საუფლისწულო მამულის ბატონად დასვა (ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954, გვ. 209). კინკლოსებშივე დაცული ცნობების მიხედვით, იანქო გარდაიცვალა 1505 წელს. თუ თისლის ხელნაწერის მოსახსენებელი ყვარყვარე II-ის ძეს იანქოს ეხება, მაშინ იგი სვინაქსარში 1505 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შეტანილი. ამ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ თისლის სვინაქსარში გაჩენილია იანქოს მამის, ყვარყვარე II დიდის ალაპი (იხ. № 69 ალაპის კომენტარი).

გამორიცხული არ არის, რომ თისლის სვინაქსარის მოსახსენებელი ეხება ქაიხოსრო II-ის (1545—1573) ძეს იანქოს. საბა-იანქოს დაბადება-გარდაცვალების შესახებ ცნობები დაცულია „მესხურ მატიანეში“. იგი დაიბადა აწყურს, 1563 წლის 29 აპრილს, გარდაიცვალა თორმეტი წლის ასაკში, 1575 წლის 20 აპრილს (სამხრეთ საქართველოს

ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 37, 42). ქრ. შარაშიძის აღნიშვნით, მატიანეში იანქოს გარდაცვალების შესახებ ჩანაწერი უნდა ეკუთვნოდეს ქაიხოსრო II-ის თანამეცხედრეს, კონსტანტინე II-ის შვილიშვილს, ბაგრატ [მუხრანბატონის] ასულს — დედისიმედს. ამ ჩანაწერში იგრძნობა საყვარელი შვილის დაკარგვით გულმოკლული დედის მწარე მოთქმა და მჟღავნდება დედისიმედისათვის დამახასიათებელი სიამაყე და გულზვიადობა: „მარტსა კ, დღესა კ[ჳრია]კესა, ჟამსა მწუხრისასა, ქკსა ხჲგ, მთუარესა ცხრასა გარისხდა ღმერთი ცამდი ამაღლებულისა ჴელმწიფის შვილისა, დაკარგულის დიდის ათაბაგის ძისა, თუალ-პირ-სამოთხისა, ლამაზად შესახედავ-წარმოსადეგისა, [ახლისა] სამოთხის ყუავილისა, ორის საჴელმწიფოს სასახელოს შვილისა, პატრონის იანქოსაგან ღმერთი გარისხდა. და დაუდგეს მის მშობელს დად[ა]გ[ული თვალი]... აპრილსა კთ, თორმეტის [წ]ლი[სა გათავდებოდა]“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს., გვ. 42, 126). ქაიხოსრო II-ის ძის იანქოსა და თისლის სვინაქსარის პატრონი იანქოს გაიგივების შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მოსახსენებელი 1575 წლის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

№ 84

119v-ს ქვედა აშიაზე მოთავსებული თისლის სვინაქსარის შემკაზმავის დემეტრეს მინაწერი.

„კაზმვა“ ნიშნავს რვეულების ან ფურცლების შეკერვას, აკინძვას. კაზმვის ტერმინად ქცევა ქართულში ხელნაწერთა აღდგენა-განახლებით სამუშაოსთან ჩანს დაკავშირებული (მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 132—133).

დემეტრე თუ ხელნაწერის განმაახლებელი არ არის, მაშინ მინაწერი XIV ს-ის დამდეგით უნდა დათარიღდეს.

№№ 88, 4, 81, 82

7.I დაწესებულია აღაპი ვარამ დიასამიძისათვის. მან თისლის მონასტერს ყვიბისში შესწირა ზურაბისძე, რომელსაც ბეგრად დაადო ოცდაოთხი თავჩაფი ღვინო და ხუთი კაბიწი პური.

ვარამ დიასამიძის სააღაპე შეწირულებიდან ირკვევა, რომ თისლის მონასტერი დიასამიძეთა საგვარეულოს საკუთრება ყოფილა: „დაიდვა აღაპი საუკუნოდ იანვარსა ზ ჩვენივე პატრონისა“, „შემოვსწირე მე, დიასამიძემან ვარამ ყუიბის ზურაბისძე სააღაპედ ჩემსა მონასტერსა“.

ვარამ დიასამიძის სააღაპე შეწირულების (88) დათარიღებაში გვეხმარება ვარამ დიასამიძის მიერ 1443 წელს მცხეთის ეკლესიისა და

ქართლის კათალიკოს შიოსათვის ყვიბისში „საპატიოდ“ მიცემული გლეხის შეწირულების წიგნი: „ქ. ...ესე წიგნი... გკადრე (მცხეთას) და... ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზს შიოს ჩუენ, დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა ავთანდილ და დიასამ... მას ჟამს, ოდეს ეშმაკის ცთუნებითა ასეთი რამე სასჯულო საქმე წამეკიდა, რომე თქვენ გამიწყერით და საპატიოდ ყუიბის ერთი გლეხი მოგაჴსენე მისითა მამულითა... ქ~კსა რლა, ნოემბერსა ლ, ჴელითა მცხეთის ქადაგის დიმიტრი გაგელიშვილისა“ (ქრონიკები, II, გვ. 254—255; სცსა 1449—1632).

თისლის სვინაქსარისა (88) და 1443 წლის შეწირულების წიგნის ვარამ დიასამიძე ჩვენ ერთი და იგივე პირი გვგონია. ეს იმითაც დასტურდება, რომ ვარამ დიასამიძის მიერ ორივე შეწირულება ყვიბისშია გაცემული. ყვიბისი ბორჯომის ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, იგი პეტრეს ლივაში, პეტრეს ნაჰიეში შედიოდა (ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 477).

თისლის სვინაქსარის ერთ-ერთი მინაწერის (4) მიხედვით, 1446 წლის 6 ნოემბერს გარდაცვლილა ვარამის ცოლი ნათია, რომელიც ივანეს ასული ყოფილა. ვარამი მინაწერში გვარის გარეშეა დასახელებული. იგი ჩვენ დიასამიძე გვგონია. ასევე ვფიქრობთ, რომ ვარამის ცოლი ნათია არის თანამეცხედრე № 88 აღაპში მოხსენიებული ვარამ დიასამიძისა. ამ ვარაუდს № 88 და № 4 მინაწერების ქრონოლოგიური მონაცემებიც უწყობს ხელს. № 88 მინაწერი, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, XV ს-ის I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

№ 4 მინაწერში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ვარამ დიასამიძის ცოლი ნათია ივანეს ასული ყოფილა. 1446 წელს გარდაცვლილი ნათია ჩვენ ივანე ათაბაგის (1391—1444) ასულად მივიჩნიეთ. შესაძლება ამით აიხსნება დიასამიძეთა საგვარეულო მონასტერში ივანე ათაბაგის ასულის და ძის — ნათიას და ყვარყვარეს — აღაპების გაჩენა (იხ. № 69 და № 72 აღაპების კომენტარი). თისლის სვინაქსარში ყვარყვარეს და ვარამ დიასამიძის აღაპები მათ მიერ ქორდვასა და ყვიბისში მიცემული შეწირულებისათვისაა დაწესებული. როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენამდე მოაღწია ყვარყვარე II-ისა და ვარამ დიასამიძის ორმა წიგნმა, რომელთა მიხედვითაც მათ 1443 წელს ქართლის კათალიკოს შიოსათვის ასევე ქორდვაში და ყვიბისში მიუციათ შეწირულება. საფიქრებელია, რომ დიასამიძეები მხარს უჭერდნენ ჯაყელებს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სამხრეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი სწორედ ივანე ათაბაგის დროს მიიღო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 28—29; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 86—

ეროვნული ბიბლიოთეკა

87). ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ ყვარყვარეს და ვარამ დიასამიძის მიერ ქართლის კათალიკოს შიოსათვის მიცემული შეწირულების წიგნები 1443 წელს, ივანე ათაბაგის სიცოცხლეშია გაცემული. ამ დროისათვის უთანხმოებამ ათაბაგსა და მცხეთის საპატრიარქოს შორის, ეტყობა, კვლავ მძაფრი ხასიათი მიიღო. ვარამ დიასამიძე ქართლის კათალიკოს შიოსათვის მიცემულ წიგნში აღნიშნავს: „... მას ჟამსა, ოდეს ეშმაკის ცთუნებითა... ასეთი რამე სასჯულო საქმე წამეკიდა, რომე თქუენ გამიწყერით და საპატიჟოდ ყუიბის ერთი გლეხი მოგაჴსენე მისითა მამულითა“ (ქრონიკები, II, გვ. 254—255, სცსა 1449—1632).

თისლის სვინაქსარში პატრონი ვარამის სახელზე 3 და 4.I კიდევ ორი აღაპია (81, 82) დადებული, რომლებიც II ხელით შესრულებულ აღაპებთან ერთიანდებიან და XV ს-ით თარიღდებიან. სავარაუდოა, რომ პატრონი ვარამის ეს აღაპები ასევე № 88 მინაწერის ვარამ დიასამიძეს ეკუთვნის და ამდენად, XV ს-ის I ნახევრით თარიღდება. ზემოთქმულის მიხედვით, XV ს-ის I ნახევრის დიასამიძეთა გენეალოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ივანე ათაბაგი (1391—1449)
|
ვარამ დიასამიძე — ნათია (+1446 წ. XI. 6, № 4)
(1449 წ. ქრ. II, 254; 1446 წ.
№ 4, 81, 82, 88)
| ——— |
ავთანდილ დიასამ

№ 91

11.I ტექსტის ქვემოთ მოთავსებულია ლუარსაფ და ელია დიასამიძეების მიერ მათი მამის ვარამის საალაპედ თისლის მონასტრისათვის ასპინძაში მიცემული შეწირულება. მინაწერი შესრულებულია XVI ს-ის მხედრულით, ამჟამად იგი სრულად აღარ იკითხება. ეს მინაწერი თავის დროზე მ. ბროსესაც ვერ წაუკითხავს (M. Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 121). ელია დიასამიძის შესახებ ცნობები დაცულია „მესხურ მატიანეში“. 1576 წელს საათაბაგოში ჯაყელთა წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომელიც მალე შინაურ ომში გადაიზარდა. „მესხურ მატიანეში“ შეთქმულების მეთაურთა შორის დასახელებული არიან ელია დიასამიძე და მისი შვილები: ავთანდილი და შერმაზანი (ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI), გვ. 43_{25}, 55_{103}). ვფიქრობთ, რომ მატიანეში მოხსენიებული ელია დიასამიძე და № 90 მინაწერის ელია ერთი და იგივე პირია. ელია დიასამიძე გვხვდება ე. წ. „კლარჯული სვინაქსარის“ XVI ს-ის მოსახსენებელშიც, რომლის მიხედვითაც, მის მეუღლეს გულქანი რქმევია სახელად (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A I_1, გვ. 446_{290}).

XVI ს-ის II ნახევარში დიასამიძეები სამეფო სახლს დამოყვრებიან. შერმაზან დიასამიძის ასული თამარი გიორგი II (1565—83/85) იმერთა მეფის თანამეცხედრე იყო. იგი გიორგი II-ს 1578 წ. პირველი თანამეცხედრის გარდაცვალების შემდგომ შეურთავს ცოლად. 1585 წელს გიორგი II-ის გარდაცვალების შემდგომ, თამარი ქრისტინეს სახელით მონაზვნად აღკვეცილა. „ჩუენ, მეფეთ-მეფის ბაგრატის უხუცესის შვილისა მეფეთ-მეფისა გიორგის თანამეცხედრემან, დედოფალთ-დედოფალმან, ბატონის დიასამიძის სახელოანის შერმაზანის და ანას ქალმან თამარ-ყოფილმან ქრისტინემ“ შემოგწირეთ და შევამკეთ გელათს ხატი წმ. გიორგის, აღნიშნავს თამარი 1586 წლის შეწირულების წიგნში (ქრონიკები, II, გვ. 525; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 263).

თამარსვე შეუმკია გელათის ღმრთისმშობლის კარედი ხატი, რომლის ვედრების კომპოზიციაში გამოსახულნი არიან: „მეფე გ(იორგ)ი“ და „დედოფ(ა)ლი თამ(ა)რ“. ხატის წარწერაში თამარი ასევე ხაზს უსვამს თავის წარმომავლობას და შერმაზანს „სახელგანთქმულის“ ეპითეტით ამკობს: „ჩვენ, დიასამიძის სახელგანთქმულის შერმაზანის და თანამეცხედრისა მისისა ანას ასულმა“ შევამკე ეს ხატიო (ო. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე, ისტორიულ პირთა გამოსახულებები XVI—XVII სს. ქართულ ოქრომჭედლობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1962, გვ. 247—248).

თამარ დედოფალი იხსენიება აწყურის ღმრთისმშობლის ხატისა და გელათის წმ. გიორგის ტაძრის ჩრდ. კედლის წარწერებშიც. ამ წარწერების მიხედვით, გიორგი II-სა და და თამარს ჰყოლიათ ორი ვაჟი ალექსანდრე და მამია (ო. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 251—252). თამარის მამას, შერმაზან დიასამიძეს და „მესხურ მატიანეში“ მოხსენიებულ ელია დიასამიძის ვაჟს შერმაზანს ჩვენ ერთ პირად მივიჩნევთ. შერმაზან დიასამიძის მეუღლეს ანა რქმევია სახელად.

ლუარსაფ და ელია დიასამიძეების შეწირულების წიგნის (91) მიხედვით, მათი მამის სახელი ვარამია. ჯვრის მონასტრის აღაპებში 7.XII დაწესებულია ლოცვა და აღაპი ვარამ დიასამიძისა და მისი მეუღლის თამარისათვის. ვარამს 100 მუტყალი ოქრო გაუგზავნია ჯვრის მონასტრისათვის (ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), გვ. 86, № 79; გვ. 88, №№ 103, 104). ე. მეტრეველი ვარამ დიასამიძის და მისი მეუღლის თამარის აღაპებს პალეოგრაფიულად XV ს-ით ათარიღებს (იქვე, გვ. 129, 145). სავარაუდოა, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული ვარამ დიასამიძე და მისი მეუღლე თამარი თისლის სვინაქსარის № 91 მინაწერში მოხსენიებული ლუარსაფ და ელია დიასამიძეების დედ-მამაა. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ ელია დიასა-

მიძის შვილიშვილს, რომელიც შერმაზანის ასული და გიორგი II იმერთა მეფის თანამეცხედრე იყო, სწორედ თამარი ერქვა სახელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლუარსაფ და ელია დიასამიძეების საალაპე შეწირულება XVI ს-ის I ნახევრით თარიღდება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალებით დიასამიძეთა გენეალოგია შემდეგნაირად გვესახება:



№ 95

14.I გაჩენილა ალაპი ჯ(უ)ლაბაშვილ ნონასათვის; 15.I ჯ(უ)ლაბაშვილის ცოლის თინასათვის (96), რომელიც ნონა ჯულაბაშვილის ცოლი უნდა ყოფილიყო. ორივე ალაპი ერთი ხელითაა ჩაწერილი და ერთდროულად უნდა იყოს შესული სვინაქსარში. I ხელით დაწერილი მინაწერები, სადაც ჯულაბაშვილების ალაპები (95, 96) შედის, XV საუკუნით თარიღდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზახულის 1210 წლის ხელნაწერი და მისი მინაწერები

1976 წელს თურქეთში მოგზაურობის დროს დიარბექირის ერთ-ერთ სირიულ მონასტერში, სირიულ ხელნაწერებს შორის, სიროლოგმა ჟ. სანდერსმა მიაკვლია ქართულ ხელნაწერს, რომლის უკანასკნელი ფურცლის ფოტო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ე. მეტრეველს გადასცა. გაირკვა, რომ ხელნაწერი წარმოადგენდა 1210 წელს ზაქარია ფანასკერტელის შეკვეთით გადაწერილ სვინაქსარს[1]. 1979 წელს ეს ხელნაწერი აწ განსვენებულმა კინორეჟისორმა გ. პატარაიამ თურქეთიდან საქართველოში ჩამოიტანა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს გადმოსცა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ხელნაწერის შიფრია Q 1487. იგი წარმოადგენს გიორგი ათონელის რედაქციის სვინაქსარს, დაწერილია ქაღალდზე კალიგრაფიული ნუსხურით, შეიცავს 409 გვერდს, სათაურები და დასაწყისები დაწერილია სინგურით, თვით ტექსტი — ყავისფერი მელნით. ხელნაწერის ფურცლების აშიებზე მოთავსებულია XIII—XVI სს-ის ნუსხურითა და მხედრულით შესრულებული 40-მდე მინაწერი. შესწავლის შემდეგ ეს მინაწერები შემდეგნაირად დაჯგუფდა: ხელნაწერის მომგებლის ანდერძი, მოსახსენებლები, ისტორიული ხასიათის მინაწერები. ამას გარდა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ხელნაწერის — Q 1487-ის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა ხელნაწერისაგან დამოუკიდებელი წერილებისა და ნუსხის ფრაგმენტები, რომლებიც მოგვიანებით (XV—XVI სს.) სვინაქსარის სარესტავრაციოდ გამოუყენებიათ. ამ მასალის შესწავლამ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ხელნაწერის ისტორია.

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ინფორმაცია ბოლო წლებში საზღვარგარეთ გამოვლენილი ქართული ხელნაწერების შესახებ. (ხელნაწერი). წაკითხულია 1978 წლის 25 მაისს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არსებობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ინსტიტუტის და არქეოგრაფიული კომისიის ერთობლივ სესიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვინაქსარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარიღიანია. ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ იგი გადაწერილია 1210 წელს ერისთავთ-ერისთავ ზაქარია ფანასკერტელის ბრძანებით. ხელნაწერის 409v-ზე მოთავსებულია ანდერძის ტექსტი, რომელიც იმავე კალიგრაფიული ნუსხურითაა შესრულებული რა ხელითაც ტექსტია გადაწერილი:

„დ(იდე)ბ(ა)ჲ ღ(მერთს)ა, მ(ა)დლი ღ(მერთ)სა, კ(უ)რთხეულ არს ღ(მერთ)ი. მემფლობო ორთავე ცხ(ო)რებათაო, ადიდო ს(უ)ლ(ი)თ და ხ(ო)რცით, რ(ომე)ლთა წყ(ა)ლობითა აღ[იწერა] წ(მიდა)ჲ ესე სჳნაქსარი, ე რ ი ს თ ა ვ თ ა ე[რ]ი ს თ ა ვ ი ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, დ[ა] შვილთა მ(ა)თთა შეუნდვნეს ღ(მერთმა)ნ; დ ი ო ფ [ა ლ თ ა] დ ი ო ფ ა ლ ი რ ი ა ნ უ შ ამზევრძელოს [და შე]უნდვნეს ღ(მერთმა)ნ; ძენი მ(ა)თნი ⌜გ⌝ რ ი გ ო ლ და [ლ ი პ ა] რ ი ტ მრ(ა)-ვ(ა)ლჟ((ა)მიერ ყვნეს ღ(მერთმა)ნ. ა(მე)ნ იყ(ა)ვნ. [ქრონ]იკონი იყო **ჳკი**“ — ე. ი. 1210 წ.

ხელნაწერის მომგებელი ზაქარია ფანასკერტელი ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. იგი თამარის ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და ფანასკერტელთა საგვარეულოს ფუძემდებელია[2]. ზაქარია ასპაანის-ძე 1191 წელს თამარის წინააღმდეგ, მისი ქმარყოფილის, გიორგი რუსის აჯანყების დროს დაწინაურებულა, მეფის მოწინააღმდეგე ერისთავთ-ერისთავის გუზან ტაოსკარელის ადგილი დაუკავებია და ტაო-შავშეთ-კლარჯეთის ერისთავი გამხდარა. იგი თამარის ერთ-ერთი მონაპირე ერისთავია. ბასილი ეზოსმოძღვარი ზაქარია ფანასკერტელს შემდეგნაირად ახასიათებს: „შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ლადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა, და არცა, ღმერთო, უბედო. ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხჳნა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თჳსსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა, აიღო;

---

[2] დ. **ბერძენიშვილის** გამოკვლევით, XII ს-ში ზაქარია ასპაანის ძის მეთაურობით ასპანისძეთა ერთმა შტომ მიიღო ფანასკერტელობა, რომლის ერთი ნაწილი XIV ს-ის II ნახევარში ტაოდან ქართლში გადავიდა და საფუძველი ჩაუყარა ციციშვილთა ფეოდალურ საგვარეულოს. ასპანისძეთა მეორე განშტოება კი ასპანისძედვე იწოდებოდა და ტაოშივე განაგრძობდა არსებობას (დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 100—102).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი და სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“[3].

XIII ს-ის დასაწყისიდან წერილობით წყაროებში ცნობები ფანასკერტელთა საგვარეულოს შესახებ ქრება, ვიდრე XIII ს-ის დამლევამდე. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება Q 1487-ის ანდერძს, საიდანაც ვეცნობით ზაქარია ფანასკერტელის ოჯახის წევრებს: დიოფალთა დიოფალს რიანუშს[4] და შვილებს — გრიგოლსა და ლიპარიტს. ზაქარიას უფროსი ვაჟი გრიგოლი, ბუნებრივია, რომ ზაქარია ფანასკერტელის შემდგომ მიიღებდა მამის სახელოსა და ფანასკერტელობას.

გრიგოლ ფანასკერტელი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, სადაც მას დიდი შესაწირავი გაუგზავნია. ე. მეტრეველმა 1978 წ. წაკითხულ ინფორმაციაში, რომელიც ბოლო წლებში გამოვლენილ ქართულ ხელნაწერებს ეხებოდა, Q 1487-ის ანდერძში მოხსენიებული ზაქარია ფანასკერტელის ძე გრიგოლი და ჯვრის მონასტრის აღაპების გრიგოლ ფანასკერტელი ერთ და იმავე პირად მიიჩნია, მისი მოღვაწეობა კი XIII ს-ით განსაზღვრა[5]. ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით გრიგოლ ფანასკერტელის პიროვნების საკითხს.

ჯვრის მონასტრისათვის გრიგოლ ფანასკერტელს 800 დრაჰკანად ნაყიდი აქაიას მამული შეუწირავს. გარდა ამისა, გაუგზავნია 7.000 თეთრი, რომელიც იერუსალიმში მყოფ ქართველებს გაუნაწილებიათ, ხოლო 2.000 თეთრი კრებულს იერუსალიმის პატრიარქისა და მისი მონასტრებისათვის გადაუცია. შეწირულება იერუსალიმში ჩაუტანია ანტონ მოძღვარს, მერჩასა და ვასაკს. გრიგოლს მეორეჯერაც გაუგზავნია მურვანის ხელით იერუსალიმში შეწირულება 30.000 თეთრი. აქედან, 24.000 თეთრი მონასტერს აქაიას მამულის საყიდლად გამოუყენებია, ხოლო დანარჩენი სალოცავად გაუცია; 1.000 თეთრი კი დამატებით ანტონს ჩაუტანია იერუსალიმში[6]. ამ დიდი დამსახურებისათვის

---

3 ბ ა ს ი ლ ი   ე ზ ო ს მ ო ძ ღ უ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 130.

4 ზაქარია ფანასკერტელის თანამეცხედრის სახელი — რიანუში — გვხვდება სამხრეთ საქართველოს ონომასტიკონში, კერძოდ, ტბეთის სულთა მატიანის XII—XIII სს-ის მოსახსენებლებში. პირთა საძიებელში იგი მამაკაცის სახელადაა მიჩნეული. იხ. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ეუქიძემ, თბ., 1979, გვ. 16, 19, 160; ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 86.

5 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ინფორმაცია..., გვ. 13—15.

6 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 90—91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტრის კრებულს გრიგოლისათვის ექვსი ალაპი გაუჩენია[7]. აქედან გრიგოლ ფანასკერტელის სამი ალაპი შესულია ჯვრის მონასტრის ალაპების ადრეულ, ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ნაწილში, რომლის ზედა ფენა XIII—XIV სს-ის მიჯნით იფარგლება. ამის საფუძველზე ე. მეტრეველმა XLVII ტაბულა, რომელშიც გრიგოლ ფანასკერტელის გარდა კიდევ სხვა პირთა ალაპებიც ერთიანდება, XIII—XIV სს-ის მიჯნით დაათარიღა, გრიგოლ ფანასკერტელის მოღვაწეობა კი — XIII ს-ის II ნახევრით განსაზღვრა[8].

ჩვენი აზრით, რამდენადაც ზაქარია და გრიგოლ ფანასკერტელები XIII ს-ის I ნახევრის მოღვაწეები არიან, ხოლო გრიგოლის ალაპები მის სიცოცხლეშია დადებული, ამდენად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების XVII ტაბულა XIII ს-ის 50-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგი:

1. ჩვენთვის ცნობილია, რომ XIII ს-ის დამლევს ტაოს ერისთავია თაყა ფანასკერტელი. ჟამთააღმწერელთან იგი აზატ მოსეს მეთაურობით რუმის თურქთა შემოსევისას იხსენიება[9]. იგი გვხვდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებშიც. აქ გაჩენილია თაყა ფანასკერტელის და მისი მეუღლის, დემეტრე მეფის ასულ რუსუდანის ალაპი, რომელთაც ჯერ 7.000, ხოლო შემდეგ 1.000 თეთრი გაუგზავნიათ მონასტრისათვის[10].

ვაჩიძორის ეკლესიის ეგვტერის 1306 წლის წარწერის საფუძველზე, რომელიც დემეტრე მეფის ასულ რუსუდანს ეკუთვნის, ე. მეტრეველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ წარწერის შესრულებისას თაყა უკვე გარდაცვლილი იყო[11]. ტაოში გადაწერილი სომხური ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, თაყა ცოცხალია 1313 წელსაც[12]. ამდენად, თაყა ფანასკერტელის მოღვაწეობა XIII ს-ის ბოლო მეოთხედითა და XIV ს-ის დამდეგით (1313 წ. ახლო ხანები) უნდა განისაზღვროს.

2. ე. მეტრეველის აღნიშვნით, ალაპებში მოხსენიებულ ფანასკერტელთა შორის ყველაზე ადრეულია გრიგოლ ფანასკერტელი, რომლის

---

7 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73, 75, 90, 91, 92.

8 იქვე, გვ. 131—132, 150—151—152.

9 ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

10 ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

11 იქვე, გვ. 137.

12 სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 19.

ალაპები განწესებულია XIII ს-ის დამლევს, არა უგვიანეს XIV ს-ის პირველი წლებისა, ხოლო თაყა გრიგოლის უმცროსი თანამედროვეა[13].

ამდენად, თაყა ტაოს ერისთაობისა და ფანასკერტელობის მიღება მხოლოდ გრიგოლის შემდგომ შეძლებდა. ვინაიდან თაყა ფანასკერტელი ისტორიულ წყაროებში XIII ს. ბოლო მეოთხედიდან ჩანს, ხოლო გრიგოლი მისი წინამორბედი ფანასკერტელია, ვფიქრობთ, რომ მისი ალაპებიც XIII ს-ის შუახანებშია დადებული.

3. 1273—1305 წწ. ჯვრის მონასტერი სპარსთა (ეგვიპტის მამლუქთა) მიერ იყო მიტაცებული და მიზგითად ქცეული. ამ „გაჭირვების" დროს მიღებული შეწირულებანი განსაკუთრებით ფასობდა და ალაპებში, ხშირ შემთხვევაში, საგანგებოდ აღინიშნებოდა, თუ რა დროსა და რა ვითარებაში მიიღო მონასტერმა შეწირულება[14]. მართლაც, თაყა ფანასკერტელისა და რუსუდანის ალაპების დამდები საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მათ შესაწირავი „გამოეგზავნა დიდსა დაჭირებასა შიგან". ე. მეტრეველის აღნიშვნით, გრიგოლ ფანასკერტელის „ყველა ალაპი მეტად საპატიო დღეებზეა დადებული, ერთი მათგანი აღვსების ანუ აღდგომის დღესაც კი არის განწესებული. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის"[15]. თუ გრიგოლ ფანასკერტელის ალაპებიც ამ პერიოდშია დადებული, მით უმეტეს უნდა აღნიშნულიყო, თუ რა ვითარებაში მიიღო მონასტერმა მისგან ასეთი დიდი შეწირულება.

4. XIII ს-ის შუა ხანებში გრიგოლის ალაპში ასეთი დიდი რაოდენობის ოქროსა და თეთრის დასახელება არ უნდა იყოს მოულოდნელი. მიუხედავად წყაროების სიმცირისა, ვფიქრობთ, რომ იგი სწორედ ამ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, 1260 წლისათვის კახა თორელი რკონის მონასტერს სწირავს სოფელ ხოვლეს, რომელიც ადრინდელ პატრონებს ალბუღასაგან 65.000 თეთრად შეუძენიათ[16]. ამას გარდა, ფანასკერტელი ერისთავები განსაკუთრებულ ძლიერებას სწორედ XIII ს-ში აღწევენ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში არ ჩანს, რომ გრიგოლზე ადრე, ან მის შემდგომ, ვინმეს ჯვრის მონასტრისათვის შეეწირა ისეთი დიდი თანხა, როგორც ეს მის შეწირულების ალაპებშია აღნიშნული.

5. გრიგოლ ფანასკერტელის შეწირულება ჯვრის მონასტრის კრებულს აქაიას მამულის შესაძენად გამოუყენებია. ჯვრის მონასტრის ალაპებშივე გვხვდება მარკოზეთ კვირიკეს ალაპი, რომელსაც აქაიას ასაშენებლად 50 დრაჰკანი გაუღია. ე. მეტრეველი ამ ალაპს XIII ს-ის

---

13 ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

14 იქვე, გვ. 43.

15 ე. მეტრეველი, ინფორმაცია..., გვ. 13.

16 ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 58.

I ნახევრით ათარიღებს[17]. საფიქრებელია, რომ გრიგოლ ფანასკერტელის შეწირულებით აქაიას მამულის შეძენა და მის ასაშენებლად მარკოზეთ კვირიკესაგან შეწირულების მიღება თანადროულად მოხდა.

ამრიგად, Q 1487 ხელნაწერის ანდერძის ცნობები რამდენადმე ავსებენ ჩვენს წარმოდგენებს XIII ს. ფანასკერტელთა საგვარეულოს შესახებ და აზუსტებენ მათი მოღვაწეობის სავარაუდო თარიღებს.

რომელ მონასტერს ეკუთვნოდა Q 1487 ხელნაწერი

Q 1487 ხელნაწერის მინაწერების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სვინაქსარი ხახულის მონასტრის კუთვნილება ყოფილა. მოსახსენებელთა უმრავლესობა ხახულის ღმრთისმშობლისადმი მიმართვით იწყება[18]. სვინაქსარის მოსახსენებლებში ხშირად გვხვდება ვინმე პაპუნას მოსახსენებლები[19]. ერთ-ერთ მინაწერში პაპუნა დიაკვნად იხსენიება[20]. პაპუნას მოსახსენებლების ანალოგიური შინაარსის გვიანდელი ხუცური წარწერა მოჰყავს ე. თაყაიშვილს ხახულის ტაძრის აღწერილობისას: „წ. ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე პაპუნა. ა(მი)ნ“[21]. შესაძლებელია, სვინაქსარისა და ხახულის ტაძრის წარწერებში მოხსენიებული პაპუნა ერთი და იგივე პირია. გამორიცხული არაა, რომ ერთი და იგივე პირია სვინაქსარის მხედრულით შესრულებულ ერთ-ერთ მოსახსენებელში[22] მოხსენიებული მათე და ხახულის ტაძრის წარწერის მათე ხახულის მოძღვარი: „ქ. მათე მ(ო)ძ(ღუა)რი ხ(ა)ხ(უ)ლისა, ო(ფ)ალო შ(ეი)წყალ)ე“[23].

ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, XII ს-ის დამლევს, ჩვენი სვინაქსარის დამკვეთს, ზაქარია ფანასკერტელს ბანასთან და სხვა მრავალ „სახელოვან“ ციხეებთან და ადგილებთან ერთად ხახულიც აუღია[24]. სავარაუდოა, რომ სვინაქსარი იმთავითვე ხახულის მონასტრისათვის იქნა შეკვეთილი და გადაწერილი. ამიტომ, უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ დიარბექირიდან ჩამოტანილ ხელნაწერს „ხახულის სვინაქსარი“ ვუწოდოთ.

---

17 ე. მეტრეველი, მასალები..., გვ. 84, 133.

18 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q 1487, 22v, 60r, 90r, 91v—92r, 112v, 220v, 223v, 243r, 253v.

19 Q 1487, 90r—353v (I ხელი), 121r—127v (II ხელი), 243r (III ხელი).

20 Q1487, 90r.

21 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 65.

22 Q 1487, 221v.

23 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

24 ბასილი ეზოსმოძღუარი, გვ. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახულის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, თორთომის-წყლის მარცხენა შენაკადის ხახულის-წყლის ხეობაში. იგი X ს. II ნახევარშია აგებული დავით კურაპალატის მიერ.

ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები ვარაუდის საშუალებას იძლევა, რათა XII—XIV სს-ში ხახული ცალკე თემად წარმოვადგინოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XII ს. დამლევს ზაქარია ფანასკერტელმა „აილო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“[25]. ვფიქრობთ, რომ აქ ლაპარაკია არა ბანასა და ხახულის მონასტრების აღებაზე, არამედ, ზოგადად, გარკვეული რეგიონის — ტაოს „აღებაზე“, დაპყრობაზე. ბასილი ეზოსმოძღვართან, რომ სწორედ ტაოს ქვეყნების და არა მონასტრების „აღებაზეა“ ლაპარაკი, ჩანს ბანას მაგალითზე. დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, XVI ს. დასაწყისის დოკუმენტის, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიის „სულ ბანი“ ამიერტაოს ერთ-ერთ ქვეყანას წარმოადგენდა, იგი დღევანდელი ფენიაქია და ფენიაქ-ჩაის, ოლთუ-ჩაის მარჯვენა შენაკადის ხეობას მოიცავდა[26]. ბანა ამიერტაოში შედიოდა, ხახული — იმიერტაოში. XV ს. დასაწყისში ეს მხარე ჯერ კიდევ ფანასკერტელთა ხელში იყო (რამდენადაც ფანასკერტელები მეფის ერისთავები იყვნენ, ამდენად ამ მხარეში ჯერ კიდევ საქართველოს მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა[27], ხოლო XV ს. II ნახევრიდან სავარაუდოა მისი ჯაყელთა მფლობელობაში გადასვლა).

XV ს-ში ტაოში გადაწერილი სომხური ხელნაწერების ანდერძებიდან კარგად ჩანს, რომ ხახული ცალკე თემს წარმოადგენდა და იგივე თორთომი იყო. ასე მაგალითად: 1455 წ. „დაიწერა ეს წმ. სახარება სომხური ათვლის „ჯდ“, ხახუსა და თორთომის გავარში, მონასტერში, რომელსა ჰქვია აგრგი(?)[28]; 1458 წ. „... აწ დაიწერა ეს იადგარი... ავეტიქ ბერის მიერ, ხახუსა და თორთომის გავარში, მონასტერში, რომელსაც ჰქვია აგცრაკი, წმ. ღვთისმშობლის და აქ აღმართულ სხვა ტაძართა მფარველობით“[29].

სომხური ხელნაწერის ანდერძებში მოხსენიებული აგრგი|აგცრკი, შესაძლოა, იყოს იგივე ექექი, რომელიც მ. ბროსესთან და ნ. ადონც-

---

25 ბასილი ეზოსმოძღუარი, გვ. 130.

26 ლ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 166.

27 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151—152.

28 სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 74.

29 იქვე, გვ. 75—76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ეგრეკად//აგარაკად იწოდება და თორთომის წყლის ზემო წელში, თორთომის ციხესთან მდებარეობდა[30].

ხახულისა და თორთომის მიმართებისათვის საინტერესო მასალას შეიცავს XVI ს-ის 30-იან წლებში შედგენილი თურქული დოკუმენტი[31], სადაც აღნიშნულია ის გზები, რომლითაც ოსმალეთის ლაშქარს შეეძლო საქართველოში შემოსვლა, დახასიათებულია სამხრეთ საქართველოს ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები და მათი მფლობელთა ვინაობა. „აღნიშნული სანახების (მამროვანი — დ. კ.) მარჯვნივ ერთი ფუნდუკის დაშორებით თორთუმის ციხეა, ამ მხარეს ხახოს ხეობას უწოდებენ. თორთუმის ციხე თავდაპირველად ყვარყვარესი იყო, მაგრამ დროებით ქურცინას ხელში გადავიდა. ქურცინას ძველი მთავარი ციხე კი აღჯაყალა იყო. ხსენებული ციხეები ამჯერად დროებით ხელთა აქვს ერთ ურჯულო აზნაურს, სახელად როსტომს. ხახოს მხარე იშხანის სახელითაც არის ცნობილი. აქ დაახლოებით 100 სოფელია. მათ შორის 20—30 დამოუკიდებელი წვრილი აზნაური ცხოვრობს“[32] — ვკითხულობთ დოკუმენტში. ამ წყაროს მიხედვით, თორთომი იგივე ხახულია, რომელიც იშხანის სახელითაც ყოფილა ცნობილი.

1516 წლის ახლო ხანებში შედგენილი დოკუმენტით, რომლის სრული სახელწოდებაა „ქ წ~ისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიაქოსა მცხეთის ეკლესიისა ძუელითაგან საქონელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“, „ხახულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“, მცხეთის ეკლესიის სამწყსოს წარმოადგენდა[33]. ცხადია, რომ ხახულარში ხახულის მხარის ფეოდალური საგვარეულო იგულისხმება. სამწუხაროდ, ამ საგვარეულოს შესახებ წერილობით წყაროებს ცნობები არ შემოუნახავს.

ამ ბოლო დროს თურქეთში გამოვლენილი დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ XVI ს. 10-იან წლებში ჯაყელთა ყმები ქურცინა და მისი შვილები აზანშერა და იბაშერი ყვარყვარე ათაბაგს განუდგნენ

---

[30] Mémoires de l'Académie Imperiale de sciences de St.—Petersburge. VII^{e} série, t. VIII, № 10, 1864, გვ. 12—14; N. Adontz, Notes Armeno—Byzantines:, Byzantion, t. X, გვ. 194—195.

[31] თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 30.

[32] იქვე, გვ. 54.

[33] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVI სს. ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 35.

და ხახულის თემი დაიჭირეს[34]. 1532 წელს ნავ-ყვარყვარეს ათონის ივერთა მონასტრის კრებულისათვის მიუცია „ხახულს, თორთომს, მარილის ბაჟათ გამოსავლი“. ამ შეწირულების წიგნის მიხედვით, ხახულის თემი იგივე თორთომი იყო და ჯაყელთა სახასო ქვეყანას წარმოადგენდა. დოკუმენტში მოთხრობილია ქურცინას შვილების აზანშერას და იბაშერის მიერ „საჴელმწიფო“ (ჯაყელთა სახასო) ხახულის თემის დაჭერაზე: „დაიპყრეს ზაკვით საჴელმწიფო ჩუენი ხ ა ხ უ ლ ი ს თ ე მ ი“, „ექუსორია გუყვნა ხ ა ხ უ ლ ი ს თემისაგან და დაიჭირნა ციხენნი ჩუენნი“, „წაუხუენ ციხენი, სოფელნი და თ ე მ ი ს რ უ ლ ო ბ ი თ ა ხ ა ხ უ ლ ი ს ა და ამის საჴსრად და შესანდობელად მოგუიჴსენებია თორთომს მარილის თუალი“[35]. ქურცინა და მისი შვილები ადგილობრივი ფეოდალები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ხახულარად ვერ მივიჩნევთ. სხვა დოკუმენტით, „თორთომის ციხე თავდაპირველად ყვარყვარესი იყო, მაგრამ დროებით ქურცინას ხელში გადავიდა. ქურცინას ძველი მთავარი ციხე კი ალჯაყალა იყო“[36]. ც. აბულაძის ვარაუდით, ქურცინას ხახულის თემი სანჯაყის სახით სულთან სელიმისაგან უნდა მიეღო 1518 წლის 10 იანვარს[37].

უფრო ადრე, 1617 წლის დასაწყისში, ქურცინას ძემ, იბაშერმა ზაქარიას შვილი ხახულარი და მისი ხუთი აზნაური შეიპყრო. იბაშერმა, ყვარყვარეს მითითებით, ხახულარი ოსმალეთში გაგზავნა, ხოლო აზნაურები გაათავისუფლა. დოკუმენტის მიხედვით, ზაქარიას შვილი ხახულარი ყვარყვარე ათაბაგის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო და ყვარყვარეს ბიძას, მანუჩარს უჭერდა მხარს[38]. საყურადღებოა, რომ 1516 წლის ახლო ხანებში შედგენილი დოკუმენტი, სადაც იხსენიებიან „ხახულარნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“, წარმოადგენს სწორედ მანუჩარ ჯაყელის კათალიკოსთან და ქართლის მეფესთან შეთანხმების აქტს[39]. შინაურ ომში მანუჩარს ქართლის მეფე დავითი უჭერდა მხარს, ყვარყვარეს კი — ბაგრატ იმერთა მეფე[40].

ც. აბულაძის აღნიშვნით, „ხახულარი ისევე, როგორც ხერთვისარი, სლესარი, ოპიზარი, ოლთისარი საგვარეულო სახელწოდებაა წარმომდგარი სამფლობელოს სახელიდან, მაგრამ ვერ დაგვიდგენია რომელი ფეოდალური გვარი ფლობდა ხახულს. სამცხის თავადთა სიაში ხა-

---

[34] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი, მრავალთავი, IV, თბ., 1975, გვ. 203; ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 55.
[35] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.
[36] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[37] იქვე, გვ. 26—27.
[38] იქვე, გვ. 49—50.
[39] ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 35.
[40] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 22, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულარს არ ახლავს წინამორბედი გვარი... ჩვენი დოკუმენტის ხახულარი ანთროპონიმია „ზაქარიას შვილი ხახულარი“[41].

გამორიცხული არაა, რომ ზაქარიას შვილი ხახულარი ფანასკერტელთა საგვარეულოდან იყო. თორთომი//ხახული ფანასკერტელთა საერისთაო ქვეყანას წარმოადგენდა. XV ს. დასაწყისში თორთომი//ხახული ჯერ კიდევ ფანასკერტელი ერისთავების ხელშია[42]. მისი ჯაყელთა მფლობელობაში გადასვლა XV ს-ის დამლევიდან არის სავარაუდებელი. 1460-იან წლებში ჯაყელებისაგან შევიწროებულმა ზაზა ფანასკერტელმა დათმო თავისი მამულები შავშეთში და ქართლში გადავიდა[43]. ვაჩიძორში აღმოჩენილ საბუთებში ზაზა მეჭურჭლეთუხუცესად და ერისთავთ-ერისთავად იწოდება[44]. 1467 წელს კონსტანტინე მეფემ მას ქართლში სხვა მამულებთან ერთად ორბოძლელისეული მამული უბოძა, რომელიც ადრე ზაზას პაპისთვის ორბოძლელს ნასისხლად მიეცა[45]. ამდენად, ფანასკერტელებს მამულების შეძენა ქართლში ადრევე დაუწყიათ (XIV ს-ის II ნახევრიდან)[46]. ვფიქრობთ, რომ ფანასკერტელთა ქართლში დამკვიდრებულ ზაზას შტოს სამხრეთ საქართველოსთან კავშირი გარკვეული დროის განმავლობაში არ გაუწყვეტია. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ზაქარიას შვილი ხახულარი, ყვარყვარე ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლაში, მანუჩარისა და დავით ქართლის მეფის მხარეზე იყო. ამავე დროს, ზაქარია ფანასკერტელთა საგვარეულო სახელია[47], ქართლში გადასული ზაზა ფანასკერტელის ერთ-ერთ ძეს კი სწორედ ზაქარია ერქვა სახელად[48]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1517 წლის დასაწყისში იბაშერის მიერ შეპყრობილი ხახულარის მამა ზაქარია და ზაზა ფანასკერტელის შვილი ზაქარია ერთი პირია, რასაც მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური მონაცემებიც უწყობს ხელს.

---

41 ც. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

42 დ. ბერძენიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 104; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 152.

43 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 704—705.

44 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 62—63.

45 სცსა 1448—64.

46 დ. ბერძენიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 107.

47 იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ზაზა და ზაქარია ერთი სახელია: „უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღომი ზაქარია ფანასკერტელი, რომელსა უწოდდენ ზაზად“ — ხი S 3729, გვ. 9.

48 სცსა 1448—64.

ფანასკერტელთა საგვარეულოში სახელის — „ხახულარი“ გაჩენა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს საგვარეულო, ან მისი ერთ-ერთი განშტოება, ხახულის მფლობელი იყო, ან ეს მხარე მათ სახელო ქვეყანას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში თურქული დოკუმენტის „ხახულარი“ ანთროპონიმია — ამა თუ იმ ფეოდალურ საგვარეულოში გვარის აღმნიშვნელი სახელის საკუთარ სახელად ქცევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მაგ.: თორელი, ახალციხელი, ჯავახი — თორელ-ჯავახიშვილებში, ტბელი — აბუსერისძეებში, ვირშელი — ქვენიფნეველებში და სხვა.

„მესხური მატიანის“ მიხედვით, 1558 წელს „ხახული სასანჯახოდ მისცეს მანუჩარს“[49]. ეს ცნობაც მხარს უჭერს ჩვენს ვარაუდს და ადასტურებს ხახულის თემში ჯაყელთა სახასო მფლობელობას. ამრიგად, ხახული თორთომის თემის იდენტურია, რომელიც XVI ს-ის დასაწყისიდან ჯაყელთა სახასო ქვეყანას წარმოადგენდა.

საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, რომელ ხევებს მოიცავდა ხახულის თემი და რა მასალას გვაწვდის ხახულის სვინაქსარი მის შესახებ.

ტაოს ისტორიული გეოგრაფიის წარმოსადგენად განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს შეიცავს სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხა, რომელიც XVI ს. დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი. დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, თვით ნუსხა, უეჭველია, უფრო ძველ ვითარებას ასახავს, კერძოდ, XII—XIII საუკუნეებისას[50]. ამ ნუსხით, ტაოში ორი საეპისკოპოსოა: იშხნელის და ბანელის. იშხნელის სამწყსოში შედიოდა „გურჯიბოღაზს აქეთ, სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი, არტანუჯისთავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი; გაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა“, ხოლო ბანელის სამწყოსოში — „სულ ბანი, ტაოს-კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულად ოლთისი, ნამურაკანი“[51].

დ. მუსხელიშვილის ნაშრომში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები (VI—XI სს.)“ გარკვეული აქვს, რომ იმიერტაოს შემადგენლობაში შედიოდა: პარხალი (ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მთიანეთი) ასისფორი (ჭოროხის მარჯვენა სანაპირო, სადაც მდებარეობდა არსისი), თორთომი და ოლთისის ხეობა მამროვანით[52]. აქედან, დ. მუსხელიშვილის მიხედვით, თორთომი, პარხალი და ასისფორი იშხნელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო „ტაოსკარს ქვემოთი,

---

49 ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49, 51.

50 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

51 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 245.

52 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

არტანუჯისთავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი“ ტერიტორია, სადაც მდებარეობდა თვით იშხანის საეპისკოპოსო და ციხე თუხარისი, იმიერტაოს წარმოადგენდა და „სომხური გეოგრაფიის“ ჭაკ//ჭაკატქს შეესაბამებოდა[53].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმიერტაოს თემებიდან თორთომი ხახულის იდენტური იყო და წყაროებში ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა. ყურადღებას იპყრობს ხახულის სვინაქსარის ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ლაპარაკია ეკლესიის (ალბათ ხახულის — დ. კ.) საჭურჭლის თორთომს წასვენების შესახებ[54]. ასევე საინტერესო ცნობების შემცველი გამოდგა დაწერილი ქაღალდი, რომელიც მოგვიანებით ხახულის სვინაქსარის სარესტავრაციოდ იყო გამოყენებული. იგი პალეოგრაფიულად XV—XVI სს-ით თარიღდება და წარმოადგენს ვინმე ბასილის მიერ სულიერ მამა ზოსიმესათვის მიწერილ წერილს. მიუხედავად ფრაგმენტულობისა, ეს წერილი საინტერესოა ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიის, ეკონომიკური და სოციალური ისტორიის გასათვალისწინებლად. მოგვყავს წერილიდან მოღწეული ტექსტი სრულად:

I. 1. წ. თქ[უე]ნთა წ(მიდა)თა მ(ა)დლთა შემთხუ[ე]ვისა
2. მონატრე ბასილი გკადრ/ებ, ს(უ)ლ(იე)რო მ(ა)მ(ა)ო ზოსიმე, პ(ა)ტ(რო)ნსა მოახსენე, ვითა ასისფორის
3. შესა/ვალში გაგუგზავნა, მივედით გ(იორგ)ისთან
4. და იმ(ა)ნ მო[.]უზე გაგ/უ[ი]ძღუანა და შეს ერთი ჯალაბი დულბეჰ გაგუიძღუანა და ლ...

V. 1. ... აქაური ის(ა)ქმეო. მ(ა)შინ მივ(ე)ლ მონასტერს და
2. ხუცესების თეთრი ავიღ[ე]| და ს(ა)რჯულოცა რაჲ იყო. ერთი ქ(ა)ცი გაგვტყდა, იმ(ა)ს ერთი ზროხა
3. წავ[გ|უა]რე. დარბეული იყო, სხ[უა]ჲ არ ჰქონდა
4. რაჲ. და ერთისა მრთ(ე)ლ ზ(ე)და არა...| რ[ა]ჲსაცაღა გვბრ[ძ]ანებს [ჩვე]ნა წ. აგრევე,
5. ზოსიმე, პატრონსა შემახუეწე, ღ(მერთმა)ნ
6. აგრემ ამოდ ამყოფლოს, ასპარაშენს რაცა| მიბრ[ძ]ანა

. . . .

II. ... ე წამოვ(ე)ლ შემოეს გ(იორგ)ი მ...

ბასილის წერილი მიწერილი სულიერ მამა ზოსიმესათვის თავისი სტილითა და შინაარსით ახლოს დგას ე. თაყაიშვილის მიერ ოლთისში,

53 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168, 170—171, 173.
54 Q 1487, 27v.

ვაჩიძორის მახლობლად მღვიმეში ნაპოვნ საბუთებთან, რომლებიც XV ს. შუახანებით თარიღდება[55]. გამორიცხული არაა, რომ ბასილი ასისფორის ხეობაში რომელიმე ფანასკერტელის ბრძანებით არის მივლინებული იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად და გადასახადების ასაკრეფად. ამაზე ბასილის წერილში უცნობი პირის მხოლოდ პატრონად მოხსენიებაც მიგვანიშნებს[56]. ბასილის წერილის ფრაგმენტში გვხვდება ტოპონიმები: ასისფორი, შე, ასპარაშენი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასისფორი იმიერტაოს ერთ-ერთ ხეობას წარმოადგენდა. იგი არის იგივე სომხური არსიაცფორი, დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით — იუსუფელი. ამ ხეობაში მდებარეობს ოთხთა ეკლესია||დორთ ქილისა (თურქ.). ბასილის წერილში ლაპარაკია მონასტრიდან გამოსაღების — ხუცესების თეთრის — აღებაზე. თუ წერილის ეს მონაკვეთი ასისფორის „შესავალს“ ეხება (ვინაიდან წერილმა ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენ გადაჭრით ამისი თქმის საშუალება არა გვაქვს), მაშინ ლაპარაკი სწორედ ოთხთა ეკლესიის მონასტერზე უნდა იყოს. ასევე გამორიცხული არ არის, რომ ბასილი წერილში პარხლის მონასტერზე ლაპარაკობს. დ. მუსხელიშვილის გამოკვლევით, არსიაცფორი||ასისფორი იყო ჭოროხის ხეობის მონაკვეთი პარხლის მთების გასწვრივ და ლეონტი მროველისეულ პარხალს შეესატყვისება[57]. მისივე შენიშვნით, საკუთრივ ასისფორი, ალბათ, მოიცავდა ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს, სადაც მდებარეობდა მისი ცენტრი — არსისი, ხოლო პარხალი ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მთიანეთია[58].

ამდენად, ბასილის წერილში მოხსენიებული მონასტერი უნდა იყოს ოთხთა ეკლესია ან პარხალი.

ბასილის წერილში იხსენიება ასპარაშენიც. წერილის დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო ძნელია გარკვევა, თუ ვინ საქმიანობს ასპარაშენში პატრონი თუ ბასილი. უფრო კი მოსალოდნელია, რომ ბასილია ასპარაშენში გაგზავნილი.

ჟამთააღმწერელის მიხედვით, 1289 წელს დემეტრე II-მ, ურდოში გამგზავრების წინ, თავისი ძე „მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს“[59]. ამ ცნობის მიხედვით იშხანის ციხე

55 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა—ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გვ. 61—67.

56 თუ ბასილის წერილი XV ს. I ნახევრის შემდგომ ხანებს ეკუთვნის, აქ მოხსენიებული „პატრონი“ უკვე ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენლად არის სავარაუდებელი.

57 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160—161, 168.

58 იქვე, გვ. 172, შენ. 78.

59 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 228—29, Mm ასპარაზეთი.

არის ასპარაშენს||ასპარაბეთს. გამორიცხული არაა, რომ ასპარაშენი არის სომხური „ჭაკატქის“, ტაოს ერთ-ერთი ხევის ქართული სახელი ჭაკატქი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დ. მუსხელიშვილის მიხედვით, ამიერტაოში შედიოდა და მოიცავდა ოლთუ-ჩაის ქვემო წელს (მდ. სალაჩურის ქვემოთ) ჭოროხის შესართავამდე და, ალბათ, თვით ჭოროხის ხეობას („ტაოსკარს ქუემოთი“) კლარჯეთის საზღვრამდე. აქ მდებარეობდა თვით იშხანის საეპისკოპოსო და ციხე თუხარისი[60]. ამ ხევის ქართული სახელი კი, შესაძლებელია, ჟამთააღმწერელთან და ბასილის წერილში მოხსენიებული „ასპარაშენია“.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მასალების მიხედვით, XII—XVI სს-ში იმიერტაოში, რომელიც იშხნელის სამწყსოს წარმოადგენდა, შედიოდა: ხახული||თორთომი, ასისფორი და ასპარაშენი.

იასონ დუკისძის მოსახსენებელი

ხახულის სვინაქსრის მოსახსენებლებში დაცულია ცნობა ტაოს ერთ-ერთი ფეოდალური სახლის — დუკისძეთა საგვარეულოს შესახებ. ხელნაწერის 60v-ს ქვედა არეზე მოთავსებულია გვიანი მომსხო ნუსხური ხელით შესრულებული მოსახსენებელი:

„წ. ღ(მერთ)ო და ხ[ა]ხულისა ღ(მ)თისა მ<ა>შობელო, შე(ე)წიე მა|სა ს[ა]უკუნოსა ს[ა]ხელოანსა გმირ[ს]ა ფ[ა]ლ[ა]ვ[ა]|ნსა დუკისძესა ბ[ა]ტონსა იასონსა და ს[ა]ს[უ]ფ|ეველი ცათა დაუმკჳდრე, ს[ა]ხიერო| და კ[ა]ცთა მოყუარეო ღ(მერთ)ო. ა(მი)ნ. ა(მი)ნ“[61].

„დუკისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ იხსენებიან 1516 წლის ახლო ხანებში შედგენილ მცხეთის ეკლესიის სამწყსო სამცხო-საათაბაგოს კუთვნილ თავადთა და სოფლების ნუსხაში. ისინი აქ ასპანიძეებს (სფირიდონ ბაენასშვილი), კალმახელებსა (უზუნასძეებს/უზუნისშვილებს) და ფანასკერტელებს შორის არიან დასახელებული[62]. დუკისძეები ტაოს ფეოდალები იყვნენ. ხახულის სვინაქსარის მოსახსენებლის იასონ დუკისძე გვხვდება XVI ს-ის სხვა მოსახსენებლებშიც. იგი იხსენიება ე. წ. კლარჯული სვინაქსარის (A 97) ერთ-ერთ გვიანდელ მოსახსენებელში, საიდანაც ცნობილი ხდება მისი მშობლების ვინაობა: „სულსა სოლომონის ძეს დუკისშვილს ფილიპეს შეუნდნენ ღმერთმან. და მათსა შვილსა იასონს და ივლიანეს დღე-

---

60 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164—168.

61 Q 1487, 60v.

62 გასათვალისწინებელია, რომ ნუსხაში საფეოდალოების თანმიმდევრობა არ არის დაცული — ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 17.

გრძელობით ცოდვანი შეუნდნეს ღმერთმან. და მათ გამდელსა საროტანისას შეუნდნეს ღმერთმან“[63]. იასონ დუკისძის დედა კავკასიძის ასული ყოფილა, საკავკასიძო კი იმიერტაოში, ასისფორის ხეობაში მდებარეობდა[64].

ნ. მარს ართვინში ღმრთისმშობლის სომხურ გრიგორიანულ ეკლესიაში უნახავს XI—XII სს-ის ქართული ოთხთავი[65], რომელსაც ჰქონია ნუსხურით შესრულებული გვიანდელი მინაწერები. ამ მინაწერებს შორის გვხვდება იასონ დუკისძის ოთხი მოსახსენებელი, სადაც იგი დახასიათებულია, როგორც „სახელოვანი და სწორუპოვარი პატრონი“, „სახელოვანი და გამარჯუებული პატრონი“[66]. ხახულის სვინაქსარის მოსახსენებელში იასონი ასევე „სახელოვან გმირ ფალავნად“ იწოდება.

დუკისძეთა საგვარეულოს შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, ამ საგვარეულომაც სამხრეთი საქართველოს სხვა ბევრი ქართული საგვარეულოს ბედი გაიზიარა და გათურქდა.

ტაოს ეთნიკური შემადგენლობა

ხახულის სვინაქსარის მინაწერები და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ხელნაწერის რესტავრაციის დროს გამოვლენილი მასალა ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის XV—XVI სს-ის იმიერტაოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნუსხა, რომელიც ხახულის მონასტრის მრევლის მოსახსენებელთა სიას უნდა წარმოადგენდეს. ნუსხა სულ ერთი ფურცელია, დაწერილია ქაღალდზე ნუსხურით. იგი მოგვიანებით გამოყენებული იყო ხელნაწერის გასამაგრებლად. ქაღალდის პირველი გვერ-

---

63 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I_1, თბ., 1974, გვ. 439.

64 ამის მოწმობაა ამ ხეობაში მდებარე ოთხთა ეკლესიის ციხის წარწერა და პარხლის ხელნაწერების მინაწერები — იხ.: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 80—81; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV). ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982, გვ. 70—71.

65 ამჟამად ეს ხელნაწერი დაცულია მატენადარანში, რომელიც ბოლო დრომდე ეჩმიაძინში, საკათალიკოსო სამღივნოში ინახებოდა — იხ. ე. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ვანის ოთხთავის (A 1335) ახლად აღმოჩენილი პირი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 141—154.

66 Г е о р г и й М е р ч у л, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, С.—Петербург, 1911, გვ. 194, 196, 197.

